ზურაბ გაიპარაშვილი

ანთიმოზ ივერიელის გერბი

თბილისი
2005

SF IER. ANTIM
IVIRCANU

ზურაბ გაიპარაშვილი

ანთიმოზ ივერიელის გერბი

თბილისი
2005
გამომცემლობა „საარი“

რედაქტორი: **ქეთევან პავლიაშვილი,** პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

რეცენზენტები: **ნიკო ჯავახიშვილი,** პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის წევრი.

მალხაზ აფრიდონიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის წევრი.

ავტორი მადლობას უხდის რუმინეთის აკადემიის ჰერალდიკისა და გენეალოგიის კომიტეტის წევრს ტუდორ-რადუ ტირონს (Tudor-Radu TIRON) ანთიმოზ ივერიელის გერბის მოწოდებისათვის.

დაიბეჭდა სადაზღვევო კომპანია „სელბის“ ფინანსური მხარდაჭერით.

© ზურაბ გაიპარაშვილი
გამომცემლობა „საარი“
ISBN 9940-29-56-8

წმინდა ანთიმოზ ივერიელის მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი ელვარე ტალანტი მომავალშიც კვლავ მრავალი მკვლევარის ყურადღებას მიიქცევს. მისი საეკლესიო ღვაწლი და ცხოვრებისეული მაგალითი კაცის მიერ ღვთისა და საზოგადო ვალის აღსრულების გამორჩეული ნიმუშია. მისი მოწამებრივი სიცოცხლე სამშობლოწართმეული ადამიანის მიერ სამშობლოს ძიების, სამშობლოში ფიზიკურად ვერდაბრუნების მიუხედავად, ნამდვილი პატრიოტიზმის, სხვა ქვეყნების, სხვა ერთათვის სიკეთის მოტანის, მოყვასის სიყვარულის ნათელი პარადიგმაა განსაკუთრებით დღეს - გლობალიზაციის ნიშნით დადაღულ და უშნოდ გაგებულ-გააზრებულ თეორიათა თუ პოლიტიკურ მიმდინარეობათა ორომტრიალში.

* * *

ანთიმოზ ივერიელი ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება იყო მართლმადიდებელ სამყაროში და გამორჩეულად ტრაგიკული ბედის ქართველი, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა ტყვეობის სიმძიმე და სიცოცხლე მოწამებრივად დაამთავრა. იგი მე-17 საუკუნის შუა ხანებში (გ. ლეონიძის აზრით, 1650 წელს) დაბადებულა, „როგორც მისი ანდერძიდან ჩანს, ანთიმის მშობლებს მარიამ და ივანე

---

[1] გ.ლეონიძე, *ანთიმ ივერიელი, დროშა*, 2 (თბილისი,1951).

რქმევიათ"[1]. ოსმალებს 1666 წელს საქართველოდან გაუტაციათ ანთიმოზი, რომელიც ტყვეობიდან სტამბულში იერუსალიმის პატრიარქს ნექტარიოსს (1660-1669 წწ.) გამოუხსნია.

ნექტარიოსი მალე პატრიარქმა დოსითეოსმა შეცვალა. დოსითეოსი უაღრესად განათლებული მოღვაწე იყო. ცნობილია მის მიერ შექმნილი 12-ტომეული „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორია" (დაიბეჭდა ბუქარესტში 1715 წ.). დოსითეოსის მზრუნველობით ანთიმოზმა კარგი განათლება მიიღო, შეისწავლა რამდენიმე ევროპული და აღმოსავლური ენა.[2] 1698 წ. უნგრეთ-ვლახეთის მთავარმა პატრიარქს სთხოვა, რომ მისთვის სტამბის მცოდნე პირი გაეგზავნა რუმინეთში საგამომცემლო საქმის გასავითარებლად. პატრიარქმა დოსითეოსმა ანთიმოზს დააკისრა ეს მისია.[3]

ვლახეთის მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიწვევით ჩასულმა ანთიმოზმა მთელი თავისი მოღვაწეობა რუმინეთის ეროვნული კულტურის განვითარებას მიუძღვნა.

1705 წ. რუმინელებმა ანთიმოზ ივერიელი რიმნიკის ეპისკოპოსად გამოარჩიეს[4], ხოლო 1708 წ. იანვარში მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ აყვანილ იქნა უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტის ხარისხში და 1716 წლამდე ხელმძღვანელობდა რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიას[5].

პატარა რუმინეთი -ოთხი დიდი იმპერიის გარემოცვაში ცდილობდა თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ანთიმოზ ივერიელი აქტიურად იბრძოდა რუმინეთის სახელმწიფოსა და რუმინეთის ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის. მოგვიანებით მას, ანტიოსმალური ორიენტაციის გამო, უთანხმოება მოუვიდა რუმინეთის მთავარ კონსტანტინ ბრინკოვიანუსთანაც კი - თურქებმა ბრინკოვიანუს ანთიმოზის დასჯა მოსთხოვეს, მაგრამ მთავარმა ბოლომდე ვერ გაიმეტა წარსულში მისი

---

[2] მ.კურდღელაშვილი, *ქართული სტამბის ისტორიიდან* (თბილისი, 1959), 25.

[3] M. Роллер, *История Румынии* (Москва, 1950), 184.

[4] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ.VI (თბილისი, 1973), 500.

[5] E. Picot, *Notice biographique et bibliographique sur l'imprimeur Anthime d'Ivir, metropolitaine de Valachie. in Nouveaux Melanges Orientaux* (Paris, 1886), 513.

თანამებრძოლი და ვერ გაბედა რუმინელი ხალხის წინაშე უდიდესი დამსახურების მქონე მიტროპოლიტისთვის ხარისხის აყრა. სამაგიეროდ, ბრინკოვიანუს შემცვლელმა ოსმალთა პოლიტიკის გამტარებელმა მთავარმა მავროკორდატმა ანთიმოზ ივერიელს დილეგში ჩასმის წინ საკუთარი ხელით მოხადა მიტროპოლიტის მიტრა და სამუდამო ექსორია მიუსაჯა სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში. მოწამებრივად აღესრულა ანთიმოზი: სინას მთაზე მიმავალი თანმხლებმა იანიჩარებმა გზაში ვერაგულად მოკლეს და მისი გვამი მდინარეში გადააგდეს[6]. რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი 1992 წელს წმინდანად შერაცხა.

ანთიმოზ ივერიელის მიერ დაარსებულ სტამბებში (ბუქარესტში, სნაგოვის მონასტერში, რიმნიკში, ტირგოვიშტეში), მისივე ხელმძღვანელობით, იბეჭდებოდა წიგნები რუმინულ, ბერძნულ, სლავურ, არაბულ ენებზე. მან დაამკვიდრა რუმინეთში რუმინულ ენაზე ღვთისმსახურება, თარგმნა და თავადვე შექმნა რამდენიმე ორიგინალური თხზულება. „უნგრო-ვლახეთისა და ბალკანეთის სლავიანებს სლავური გრამატიკა დაუწერა და დაუბეჭდა ქართველმა, ანთიმმა, ჯერ კიდევ 1697 წელს".[7] ანთიმოზ ივერიელი მინიატურებით თავადვე ამკობდა მის მიერ გამოცემულ წიგნებს, საკუთარი ხელით მოაჩუქურთმა ბუქარესტში აგებული მონასტრის კარი და სარკმლები. ანთიმოზის მიერ დაარსებულ სტამბებში 64 წიგნი დაიბეჭდა. მისი მოღვაწეობის დროს რუმინეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად იქცა, რომელიც მეზობელ ქვეყნებს სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნებით ამარაგებდა. ანთიმოზი გულთბილად გამოეხმაურა ვახტანგ VI-ის თხოვნას ქართული სტამბის მოწყობის შესახებ და საქართველოში თავისი მოწაფე ვლახელი მიხაილ იშტვანოვიჩი გამოგზავნა.

თბილისში სტამბა 1708-1709 წლებში მოეწყო. სტამბისთვის

---

[6] *Православная энциклопедия, т.1* (Москва, 2001), 489.

[7] გ.ლეონიძე, დასახ. ნაშრომი.

მეფის სასახლესთან სპეციალური „სახლები" ააგეს ანჩისხატისა და სიონის ტაძრებს შორის.[8] 1709 წ. ამ სტამბაში დაიბეჭდა პირველი სამი ქართული წიგნი: „სახარება", „დავითნი", „სამოციქულო". ვახტანგ VI-მ „სახარების" ერთი ცალი რუმინეთში ანთიმოზ ივერიელს გაუგზავნა, რომელმაც იგი ოქროს ყდაში ჩასვა და ვლახეთის მმართველ კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიართვა.[9]

რუმინეთში ცნობილი მესტამბე მიხაილ იშტვანოვიჩი ტრანსილვანიიდან, არდიალიდან, ყოფილა წარმოშობით (სტეფანე, უნგრულად იშტვანი, სლავური დაბოლოებით - იშტვანოვიჩი, იშტვანის ანუ სტეფანეს ძეს ნიშნავს). ტრანსილვანიიდან იგი ვლახეთში ჩამოსულა, სადაც იპოდიაკვნად უკურთხებიათ[10]. ვარაუდობენ, რომ იშტვანოვიჩი სტამბის ხელოვნებას ბუქარესტში, იმ სტამბაში, დაეუფლა, სადაც ანთიმოზ ივერიელმა 1691 წელს თავისი პირველი წიგნი დაბეჭდა. აქედან მოყოლებული მისი საქმიანობა ანთიმოზ ივერიელს დაუკავშირდა. ამ ურთიერთობის სიტყვიერი გამოხატულებაა მე-18 საუკუნის დასაწყისში რუმინეთში იშტვანოვიჩის მიერ დასტამბული „ლოცვანის" წინასიტყვაობა, რომელიც დამბეჭდავმა ანთიმოზ ივერიელს მიუძღვნა და რომელშიც დიდი სიყვარულითა და მოწიწებითაა მოთხრობილი წარსული ცხოვრება ანთიმოზისა, რომელსაც მონად გაყიდულ ბიბლიურ იოსებს ადარებს ავტორი.

ანთიმოზმა 1694 წელს, როდესაც ბუქარესტიდან სნაგოვში გადავიდა სტამბის დასაარსებლად, თან წაიყვანა მიხაილ იშტვანოვიჩი. ამ სტამბაში პირველი წიგნი სწორედ იშტვანოვიჩმა დაბეჭდა.

1698 წელს იშტვანოვიჩი, კონსტანტინე ბრინკოვიანუს საგანგებო დავალებით, ტრანსილვანიაში წავიდა. მას იქ საგანმანათლებლო მისიასთან ერთად მართლმადიდებლურ-

---

[8] ქრ.შარაშიძე, *პირველი სტამბა საქართველოში* (თბილისი, 1955), 94.

[9] გ.ლეონიძე, დასახ. ნაშრომი.

[10] ო.გვინჩიძე, *ანთიმ ივერიელი* (თბილისი, 1973), 168.

სურ.1. ბაგრატიონთა გერბი, „სამოციქულო", 1709 წ.

მისიონერული მიზანიც ჰქონდა – ტრანსილვანია მუდამ იყო რელიგიური დაპირისპირების მხარე. იქ მან 1699 წელს რუმინულ ენაზე გამოსცა „ანბანის წიგნი" და „სახარება".

1706 წელს მიხაილ იშტვანოვიჩმა ანთიმოზ ივერიელთან ერთად რიმნიკის სტამბაში დაბეჭდა ხუთი წიგნი. ამ გამოცემებში მითითებულია, რომ ისინი დაბეჭდილია იპოდი-

[11] *Biserica ortodoxa Romina*, 8-9 (Bucureşti, 1956), 732.

აკონ მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ[11].

ვარაუდობენ, რომ მიხაილ იშტვანოვიჩმა 1707 წელსაც დაბეჭდა წიგნი რიმნიკის სტამბაში. 1708 წლიდან კი, როდესაც ანთიმოზმა, უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტად კურთხევის გამო, დატოვა რიმნიკი, ტირგოვეშტეს რეზიდენციაში გადავიდა და იქაც დააარსა სტამბა, მიხაილ იშტვანოვიჩის სახელი აღარ შემოინახა რუმინეთში გამოცემულმა წიგნებმა თუ სხვა ისტორიულმა წყაროებმა. ამიერიდან მიხაილი თავისი მასწავლებლის სამშობლოში, საქართველოში, ჩაუდგა სტამბის დაარსებისა და წიგნის ბეჭდვის საქმეს. ჩვენ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას თბილისში იშტვანოვიჩის მიერ სტამბის დაარსების შესახებ. ამ უდიდესი კულტურული მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას: საქართველოში ანთიმოზ ივერიელსა და მის მოსწავლესთან, სასტამბო საქმის განვითარებასთან ერთად, დაკავშირებულია ჰერალდიკის განვითარებაც. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირველი ქართული გერბები საქართველოში იშტვანოვიჩის მიერ დასტამბულ წიგნზე გვხვდება, არამედ - ამ გერბების ფორმის, არქიტექტონიკისა და ორნამენტული მორთულობის ტიპოლოგიური პარალელების არსებობაც რუმინულ, კერძოდ, ანთიმოზის მიერ დაბეჭდილ წიგნებზე არსებულ შესაბამის ნიმუშებთან.

პირველად ბაგრატიონთა გერბი 1709 წელს დასტამბულ „სამოციქულოში" თავფურცლის მეორე გვერდზე (სურ. 1) დაიბეჭდა (უფრო ადრე საქართველოს სამეფო გერბების არსებობა მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან დასტურდება, მაგრამ ეს ნიმუშები რუსულ ისტორიულ წყაროებშია დაცული: რუსეთის მეფის ალექსეი მიხეილის ძის 1672 წლის „ტიტულიარნიკსა" და დიპლომატ კორბის 1698-99 წწ. დათარიღებულ დღიურში და მათ არაფერი აქვთ საერთო საქართველოში დაბეჭდილ პირველ სახელმწიფო გერბთან). მართებულად შენიშნა აკაკი შანიძემ, როდესაც ვახტანგის სტამბის წიგნებში

სურ.2. ბაგრატიონთა გერბი, „კონდაკი", 1710 წ.

გერბის მოთავსების წესი რუმინული გამოცემების გავლენით ახსნა[12]. გერბის ფარზე გამოსახული ემბლემების სემანტიკაზე აქ არ შევჩერდებით: დავით წინასწარმეტყველის შურდული და ქნარი - გერბის ეს უმთავრესი ელემენტები ზუსტი ჰერალდიკური ნიშნებია ბაგრატიონთა ბიბლიური წარმოშობის მისანიშნებლად, ხოლო ქრისტეს კვართის სიმბოლიკას, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული სიწმინდის – უფლის სამოსელის საქართველოში არსებობის ფაქტს უკავშირდება, საქართველოში

[12] ა.შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, *ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I* (თბილისი, 1935), 157.

სურ.3. რუმინეთის სამეფო გერბი, 1703 წ.

უკვე ჰქონდა ჰერალდიკური ანალოგები ქართველ კათალიკოსთა საბეჭდავებზე გამოსახული სიუჟეტის სახით[13], რომ აღარაფერი ვთქვათ არსებულ რელიგიურ, ისტორიულ-ლიტერატურულ და სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიურ ტრადიციებზე.

ბაგრატიონთა გერბის ავტორმა მისი შინაარსობრივი მხარის გადმოსაცემად სწორედ ეს ორი მომენტი: ბაგრატიონთა წარმომავლობა და საქართველოში უფლის კვართის არსებობა, ხოლო ფორმის შესაქმნელად კი - რუმინულ წიგნის

[13] ს.ბარნაველი, *საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები* (თბილისი, 1965), 123.

გრაფიკაში უკვე დამუშავებული კლიშეები გამოიყენა.

„სამოციქულოდან" მოყოლებული ყოველი გამოცემის თავფურცლის მეორე გვერდზე ვხვდებით ბაგრატიონთა სამეფო გერბის ამა თუ იმ ვარიანტს (სულ 3 სხვადასხვა ვარიანტი). პირველი[14] (სურ. 1) და მესამე[15] ვარიანტები უფრო ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან, ვიდრე მათგან მეორე[16] ვარიანტი (სურ. 2). პირველსავე ვარიანტში თვალსაჩინოა მსგავსება ანთიმოზ ივერიელის წიგნებში დასტამბულ რუმინეთის სამეფო გერბის ფართან, რომელიც მრგვალი ფორმისაა და მედალიონისებური მოჩარჩოება აქვს (სურ. 3). ეს მედალიონისებური წრე ზემოთ იხსნება და ფოთლოვანი ორნამენტული ღეროთი უკავშირდება გადაჯვარედინებულ ხმალსა და სამეფო სკიპტრას, რომელთა ზემოთ ჯვრით შემკული სამეფო გვირგვინია მოთავსებული. ბაგრატიონთა გერბის I ვარიანტის ფარი ზუსტად იმეორებს რუმინული გერბის ფორმას (შეადარე „სამოციქულოში" დასტამბული გერბი). ისიც მრგვალია, მედალიონისებური მოჩარჩოებით, რომლის წრიული ზოლი ზემოთ იხსნება და პატარა ორნამენტული ღეროთი ჯვრით შემკობილ გვირგვინს უკავშირდება. ფარის ზემოთ, გვირგვინის მარჯვნივ და მარცხნივ სამეფო სკიპტრა და მახვილია, რუმინული ფარისგან განსხვავებით სკიპტრა და მახვილი არაა გადაჯვარედინებული.

რუმინული გერბის ფარისმტვირთველები ბუკის მცემელები არიან[17], რომლებიც ფარის ირგვლივ შემოვლებულ ფოთლოვან ორნამენტში ეწერებიან. ფარი ეყრდნობა ფრთიანი ანგელოზის თავის გამოსახულებას, რომელიც ფოთლოვან ორნამენტებთან ერთად შეიძლება გერბის კომპორტერად (საფუძვლად) ჩავთვალოთ. ბაგრატიონთა გერბის ფარისმტვირთველები ოთხი ფრთიანი და შარავანდედიანი

---

[14] *სამოციქულო* (თბილისი, 1709), 2.

[15] *პარაკლიტონი* (თბილისი, 1720), 2.

[16] *კონდაკი* (თბილისი, 1710), 2.

[17] *Biserica ortodoxa Romina*, დასახ. ნომერი, 722.

სურ.4. ჩუქურთმის ელემენტი.

ანგელოზია.

ბაგრატიონთა გერბის ზემოთ და ქვემოთ ოთხ-ოთხი ასომთავრული ასოა: წ ღ დ პ / მგ ყს. ამგავრივე კომპოზიციური განლაგებითა და რაოდენობითაა რუმინულ გერბზე ასოები: ÎK БВ / ДД ЦР. პირველი საქართველოს მეფე გიორგის, ხოლო მეორე ვლახეთის მთავარ იოანე კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიანიშნებს.

ჩვენ საგანგებოდ არ ვცდილობთ რუმინული (უფრო ვლახეთის) გერბის ბლაზონირებას და ფარზე დატანილი ნიშნების აღწერას, რადგან ეს ემბლემები სამი საუკუნით უფრო ადრე ჩნდება ევროპულ ისტორიულ წყაროებში. ანთიმოზს არ შეუქმნია რუმინეთის მთავართა გერბი, მან თავის წიგნებში სათანადო ფორმა მისცა მას, ბაგრატიონთა სამეფო გერბის შექმნა კი ნამდვილად ანთიმოზის სკოლასა და მის მოსწავლესთან მიხაილ იშტვანოვიჩთანაა დაკავშირებული.

ანთიმოზის წიგნებში დაბეჭდილი ბრინკოვიანუს გერბი მოთავსებულია ოთხკუთხა ყვავილოვან ორნამენტულ ჩარჩოში, რომლის ოთხივე კუთხეში ჩახატულია ანგელოზთა თავები. ეს ჩარჩო, თავისი ორნამენტული წნულითა და ანგელოზების თავის გამოსახულებებით, უცვლელად გადმოტანილია 1709 წელს „სამოციქულოში" დასტამბულ ბაგრატიონთა გერბის პირველ ვარიანტში თანაც თითქმის ისეთივე მაღალოსტატურადაა შესრულებული, როგორც ანთიმოზის წიგნზე. ასეთივე ჩარჩოს ვხვდებით ბაგრატიონთა გერბის მესამე ვარიანტში, რომელიც დაბეჭდილია 1720 წლის „პარაკლიტონში", თუმცა უკვე ძალიან პრიმიტიული ხელით შესრულებულს.

ამ ოთხკუთხა ყვავილოვან ჩარჩოს აქვს კიდევ ზედა მოჩარჩოება, რომელიც ბაგრატიონთა გერბის სამივე ვარიანტის გამოსახულებას ახლავს. ამ მოჩარჩოებას პატარა პწკალის



Α'ΝΘΟΛΟΓΙΟΝ

ΤΟΥΟΛΟΥ Ε'ΝΙΑΥΤΟΥ

ΚΥΡΙΟΥ ΚΥΡΙΟΥ Γ'ΩΑΝΝΟΥ

ΚΩΝΣΤΑΝΤΙΝΟΥ

ΜΠΑΣΑΡΑΜΠΑ ΒΟΕΒΟΔΑ.

ΤΟΥ ΣΥΝΑΓΩΓΟΥ

Παρὰ Α'νθίμου Γ'ερμανοῦχου τοῦ ἐξ Γ'ρηέως.

Ιερ.5. ანთოლოგია, 1697 წ. სნაგოვი.

სურ.6. ევანგელე. 1697 წ. სნაგოვი.

მსგავსი ორნამენტული ელემენტის სხვადასხვა კონფიგურაცია ქმნის. ეს პატარა ჩუქურთმა (სურ. 4) ძალიან ხშირად გამოიყენება ანთიმოზის მიერ რუმინეთში, კერძოდ სანაგოვში, დასტამბული წიგნების[18] შესამკობად (სურ. 5, 6). ეს ორნამენტული ჩარჩო დიდ ხანს გამოიყენებოდა ქართული წიგნების შესამკობად. მაგალითად გამოდგება 1786 წ. დაბეჭდილ სახარებაზე გამოსახული ბაგრატიონთა გერბის მორთულობა (სურ. 7).

საქართველოში დასტამბულ პირველსავე წიგნში არაა გამოსახული ბაგრატიონთა გერბი. თბილისში დაბეჭდილ წიგნთაგან რიგით მესამეა „სამოციქულო", რომელშიც პირველად გამოჩნდა ეს გერბი. აშკარაა, მიხაილ იშტვანოვიჩი და სხვა ოსტატები მის შექმნაზე უფრო დიდ ხანს მუშობდნენ, ვიდრე სხვა გრაფიკულ ორნამენტებზე. ანთიმოზ ივერიელის შემოქმედებისა და სკოლის გავლენა ქართული ნაბეჭდ გერბებზე თვალშისაცემია.

ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო სფეროს წარმოადგენს ჰერალდიკა. მის მიერ დაბეჭდილ წიგნებზე გამოსახული სახელმწიფო გერბები თუ მის მიერვე შექმნილი რუმინეთის მხარეების გერბები რუმინული ჰერალდიკის უბადლო ნიმუშებად ითვლება.

ანთიმოზის, როგორც ჰერალდიკოს-გენეალოგის, შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია „ძველი და ახალი აღთქმის სახეები", იგივე „იესო ქრისტეს საგვარეულო ნუსხა, ანუ გენეალოგიური ხე". ეს ნაშრომი მან 1709 წელს ვლახეთის მთავარს მიუძღვნა. ესაა ბიბლიის ილუსტრირებული ისტორია, რომელიც შეიცავს 503 მედალიონში ჩასმულ პორტრეტს. პორტრეტებზე გამოსახულია ბიბლიური პერსონაჟები. ფერადი ხაზები ერთმანეთთან აკავშირებს მედალიონებს და ქმნის „გენეალოგიურ ხეს". ალბომი 22 ფურცლისგან შედგება, ხელნაწერის მეორე გვერდზე გამოსახულია ანთიმოზის ხელით შესრულებული სახელმწიფო გერბი და თვრამეტსტროფიანი

[18] *Antologia ontregului serviciu de peste an, cea mai bogat? dintre antologiile cunoscute acum* (Snagov.1697). *evangele* (Snagov,1697).

სურ.7. ბაგრატიონთა გერბი, სახარება, 1786 წ.

ლექსი. გერბიც და ლექსიც შემკულია სტილიზებული ყვავილების ორნამენტებით. გერბზე გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი, რომელსაც ნისკარტით უჭირავს ჯვარი. ჯვრის აქეთ-იქით ოქროსფერი მზე და მთვარეა (ეს ვლახეთის სახელმწიფო გერბია, რომელსაც ანთიმოზი ხშირად გამოსახავს წიგნებზე). ნაშრომში აღნიშნულია, რომ მისი ავტორია უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტი ანთიმ ივერიანუ[19].

ანთიმოზ ივერიელის, როგორც მხატვრისა და ჰერალდიკოსის, უმნიშვნელოვანეს ნამუშევარს წარმოადგენს მისივე გერბი. ამ უაღრესად დახვეწილი გემოვნებითა და დიდი ოსტატობით შესრულებული ნაწარმოების შესახებ რუსულ ინტერნეტ-გვერდზე 2004 წლის ივნისში გამოქვეყნდა ვ. მედვედევის სტატია[20]. როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს გერბი მისთვის რუმინელ კოლეგას პროფესორ დ. ჩერნოვიდიანუს უჩვენებია.

ანთიმოზ ივერიელის გერბის შესახებ წერდა 2001 წელს ლევან თაქთაქიშვილიც, ოღონდ მას ბეჭედს უწოდებდა.[21] როგორც ჩანს, ლ. თაქთაქიშვილმა არ იცოდა, რომ ამ გერბის შესახებ წერდნენ შ. კვასხვაძე,[22] ფ. ჯინჯიხაშვილი[23] და ო. გვინჩიძე.[24] თუმცა სამივე მკვლევარი ამ ნაწარმოებს გიორგი ლეონიძის მიერ ჩამოტანილი შავ-თეთრი ფოტოს მიხედვით იცნობდნენ. არც ერთ მათგანს გერბის გამოსახულება არ გამოუქვეყნებია.

როგორც შ. კვასხვაძე წერს წიგნში „ვახტანგ VI სტამ-

---

[19] დოკუმენტი ინახება კიევის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ხელნაწერთა განყოფილებაში, №379.

[20] М.Ю. Медведев, *Геральдический шедевр: герб Анфима I, митрополита Валашского,* htt//sovet.geraldika.ru უნდა ითქვას, რომ სტატიის სათაურში შეცდომაა: ანთიმოზ ივერიელი მოხსენიებულია როგორც Анфим I, მაშასადამე, შეცდომითაა წაკითხული გერბზე არსებული ინიციალები - რუმინელები ანთიმოზს ივერიელს უწოდენ და არა პირველს, როგორც ეს მედვედევს ჰგონია.

[21] ლ.თაქთაქიშვილი, მიკვლეულია ანთიმოზ ივერიელის ბეჭედი, გაზ. *ქართული წიგნი,* 3 (თბილისი, 2001).

[22] შ.კვასხვაძე, *ვახტანგ VI სტამბის წიგნი,* (თბილისი, 1952).

[23] Ф.Джинджихашвили, Антимоз Ивериели (Тбилиси,1967).

[24] ო.გვინჩიძე, *ანთიმ ივერიელი* (თბილისი, 1973).

ბის წიგნი", ანთიმოზ ივერიელის გერბი მას უნახავს გ. ლეონიძის კოლექციაში დაცულ ფოტოზე. სამწუხაროდ, ამ კოლექციის, მათ შორის ფოტოს, ბედი დღეს უცნობია. შ. კვასხვაძემ ინფორმაციის უქონლობის გამო ვერ გაარკვია, რატომ ჰქონდა ფოტოს ასეთი მინაწერი: „Снимок с 2 стр. Собственоручной рукописи А. Ивериели, написаной в 1713 г. представляющий герб. А. Ивериели и подним стих о улитке - герб А.И. - рукопись под ном. 3342 в библ. Акад. руминской народной республ.18. ასე გამოდის, თითქოს ფოტო გადაღებული იყოს ხელნაწერი და არა ნაბეჭდი წიგნიდან"[25],- წერდა კვასხვაძე. სინამდვილეში ეს დოკუმენტი მართლაც ხელნაწერია და იგი რუმინეთის აკადემიის ფონდში ინახება. იგი წარმოადგენს „ანთიმის მონასტრის ტიპიკონს", რომელიც ჯერ კიდევ 1956 წელს გამოქვეყნდა რუმინეთში ანთიმოზ ივერიელის გარდაცვალებიდან 240 წლისთავისადმი მიძღვნილ ჟურნალში.[26] მოგვიანებითაც ქვეყნდებოდა რუმინეთში ეს გერბი (სურ.8. გარეკანის პირველ გვერდზე) როგორც ჰერალდიკურ[27], ასევე ისტორიულ გამოცემებში,[28] თუმცა საქართველოში აქამდე სრული სახით (ფერადი) არ დასტამბულა.

„ანთიმის მონასტრის ტიპიკონი" შედგება სათაურისგან, შესავლისგან, ოცდათორმეტი ძირითადი და ერთი დამატებითი თავისგან, რომლებშიც საუბარია სამონასტრო ცხოვრების ყველა დეტალზე. ხელნაწერი, რომელიც 1713 წლით თარიღდება,[29] ჩასმულია ტყავის ყდაში. ყდა შემკულია ოქროთი გამოყვანილი ჩუქურთმებითა და გეომეტრიული მოტივებით. ხელნაწერი კი სავსეა სხვადასხვა ფერით შესრულებული მინიატურებით. დოკუმენტი ინახება რუმინეთის აკადემიის ბიბლიოთეკაში, №3342.

---

[25] შ.კვასხვაძე, დასახ. ნაშრომი, 210.

[26] *Biserica ortodoxa Romina,* დასახ. ნომერი.

[27] D. Cernovodeanu, *Stiinta si arta heraldica in Romania*, (Bucureşti, 1977), CXIV.

[28] A. Vulpe, *Istoria Romanilor* (Bucureşti, 2000), 70.

[29] Ф.Джинджихашвили, დასახ. ნაშრომი, 59.

საეკლესიო ჰერალდიკას საფუძვლად არც რაინდთა ტურნირები და არც ჯვაროსნული ლაშქრობები არ უდევს. ეკლესიამ, როგორც შუასაუკუნეების ფეოდალურმა ინსტიტუტმა, გერბების გამოყენება პრაქტიკული მიზნებისთვის, - ანუ საეკლესიო ქონების საკუთრების იდენტიფიკაციისა და მასზე უფლების დემონსტრაციისთვის, - დაიწყო საერო ფეოდალების გამოცდილების გათვალისწინებით.

მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო საეკლესიო გერბი? რა ემბლემებს უნდა დაემშვენებინა ჰერალდიკური ფარი? მუზარადი მიანიშნებდა, რომ მისი პატრონი მეომარი იყო, გვირგვინი მას როგორც დიდგვაროვანს, ისე წარმოადგენდა, - არც მუზარადი და არც გვირგვინი არ შეეფერებოდა მღვდლისა და პრელატის ლიტურგიკულ იერს. ამ თვალსაზრისით ყველაზე მისაღებ ნიშნად იქცა მიტრა, რომლის გამოყენება, ეპისკოპოსების კვალობაზე, სხვა პრელატებმაც დაიწყეს.

უძველესი გერბები, რომელთაც ლიტურგიკული ინსიგნიები ახლავს, შემოგვინახა მათე პარიზელის (1195-1259 წწ.), კლუნის ბერის, ჰერალდიკური ილუსტრაციებით შემკულმა ინგლისურმა ქრონიკებმა. მანუსკრიპტის მარგინალიებზე ჩართულ გერბებზე გამოსახულია მიტრა, როგორც ეპარქიის მღვდელმთავრობის ნიშანი, ჯვარი და პაპის კონუსისებური ქუდი, პაპის „პავილიონი" (საერთოდ ეს ნიშანი საეკლესიო ჰერალდიკაში იშვიათად გამოიყენება). მათე პარიზელისთვის უცნობია კარდინალის ფართოფარფლებიანი ქუდი (ე.წ. შლაპა), - ეს ნიშანი მოგვიანებით ჩნდება ჰერალდიკაში. მაშასადამე, პირველი საეკლესიო გერბები მე-13 საუკუნიდან ჩნდება ევროპაში.

ისევე, როგორც პორტრეტებზე სასულიერო პირებს გამოსახავდნენ საეკლესიო წოდებების აღმნიშვნელი ინსიგნიებით, მათი გერბებიც – მათივე სიმბოლური პორტრეტები – შემკული იყო ასეთივე ღირსების ნიშნებით.

ეპისკოპოსთათვის ინსიგნია იმთავითვე, წოდების მინიჭებისთანავე, განსაზღვრულია, სხვებს კი საგანგებოდ ენიჭებათ

ღირსებები და ეს გარკვეულ პრივილეგიებს ნიშნავს.

პრივილეგიების მინიჭება კათოლიკურ ეკლესიაში მხოლოდ პაპის ხელისუფლების პრეროგატივაა, თუმცა საუკუნეების განმავლობაში განმასხვავებელი ნიშნებისა და პრივილეგიების გამოყენება უსისტემოდ, განუსაზღვრელად გაფართოვდა და ხშირად პაპების ღირსების შემლახავი ფორმაც მიიღო. ამ განუკითხაობის აღსაკვეთად პაპმა პიუს X-მ (1903-1914 წწ.) მიიღო კანონი „Motu proprio, inter multiplices curas", რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი კანონია კათოლიკურ საეკლესიო ჰერალდიკაში (მართლმადიდებელი ეკლესია ასეთ კანონმდებლობას არ იცნობს), რომლის მიხედვით განსაზღვრულია, რომ ეპისკოპოსზე დაბალი წოდების მქონე პრელატებს, რომლებიც „Motu proprio"-ში არ არიან ჩამოთვლილნი, განმასხვავებელი ჰერალდიკური ნიშნების გამოყენების უფლება არ აქვთ[30].

საეკლესიო ჰერალდიკა მოიცავს: რელიგიური გაერთიანებების ან ორგანიზაციების გერბებს; საეკლესიო ხარისხის, რანგის ან თანამდებობის ინსიგნიებს და ზოგადი ჰერალდიკის იმ სიმბოლოებს, ტერმინებსა და ფორმებს, რომელთაც საეკლესიო წარმოშობა, გამოყენება ან ხასიათი აქვთ. როგორც გლიპტიკური მასალა ადასტურებს, ჰერალდიკის განვითარების ისტორიის პირველი ეტაპის (XII-XV სს.) დასაწყისშივე, XII საუკუნეში, ზოგიერთი მონასტრის წინამძღოლი და ეპისკოპოსი საბეჭდავებზე ჰერალდიკულ ნიშნებს გამოსახავდნენ.

სასულიერო პირის გერბის შემადგენელი ნაწილებისა და გერბის მფლობელის საეკლესიო რანგის ურთერთდამოკიდებულებაში თვალნათლად იკითხება საეკლესიო აღკაზმულობის ელემენტები.

ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჰერალდიკური წეს-ჩვეულებები უკვე ფართოდ გამოიყენება როგორც საერო, ასევე საეკლესიო

[30] B.Heim, *Heraldry in the catholic church* (Buckinghamshire, 1978), 45.

ფენაში. ჰერალდიკის განვითარების მეოთხე პერიოდი, ეგრეთწოდებული დეკადანსი, რომლისთვისაც დამახასიათებელია გერბების გადაჭარბებული დეტალიზაცია, მერკანტელიზმის ზეგავლენა, ბლაზონირების დახვეწა, XVI-XVIII საუკუნეებს მოიცავს.[31] ამ ეპოქაში აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში ჯერ კიდევ XV საუკუნეში, ოსმალთა შემოსევების შედეგად, შეფერხებული ჰერალდიკა ახლა იწყებდა განვითარებას. „ბიზანტიური მემკვიდრეობის მქონე მართლმადიდებელი ერები თანდათან ითვისებდნენ ჰერალდიკის საფუძვლებს, ამ დროისთვის დამახასიათებელია დასავლური საგერბო ხელოვნების ზედაპირული, გულუბრყვილო მიმბაძველობა."[32] ამ კონტექსტის გათვალისწინებით მითუფრო საინტერესოა ანთიმოზ ივერიელის გერბი, როგორც ოსტატურად შესრულებული ნაწარმოები.

ადრეულ პერიოდში საეკლესიო ჰერალდიკაში საბრძოლო აღჭურვილობასთან დაკავშირებული ატრიბუტები ან არ გამოიყენებოდა, ან ხდებოდა მისი სტილიზება. გერბის უმთავრესი ნაწილი, შეიძლება ითქვას, საფუძველი, არის ფარი. იგი, თავისი წარმოშობითაც საბრძოლო ინსტრუმენტიდან მოდის და გარეგნულადაც მის ფორმას იმეორებს. ხოლო საეკლესიო პირები, თავისი მშვიდობისმოყვარე ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად ფარს ოვალური დაფით ანაცვლებდნენ.[33] ანთიმოზის გერბის ფარი სწორედ ამგვარ სტილიზებულ დაფას წარმოადგენს.

ანთიმოზ ივერიელის გერბი სიუჟეტურია, ფარი მარტივია, არაა გაყოფილი ნაწილებად, მასზე მხოლოდ ერთი ველია. ველზე მოთავსებულია ორი ფიგურა, რომლებსაც ერთმანეთთან ფაბულა აკავშირებს. გერბის ფარზე გამოსახულია ლოკოკინა, რომელიც მიწიდან ვარსკვლავის ბრწყინვალების შესახვედრად მიიწევს.

ანთიმოზის გერბი შედგენილია არა ფრანგული, არამედ

---

[31] L. F.Messia de la Cerda y Pita, *Heraldica Espanola* (Madrid, 1990), 27.

[32] M. Медведев, დასახ. ნაშრომი.

[33] F. del Arco, *Heraldica Papal* (Madrid, 1993), 5.

პოლონური ჰერალდიკური სისტემის მიხედვით, ანუ გერბის ფიგურები არ ასახავენ ჯვაროსნულ ლაშქრობებსა თუ რაინდულ ტურნირებსა და ბრძოლებში მიღწეულ წარმატებებს[34] - თუმცა ისიც ძალიან საეჭვოა, რომ, როგორც პოლონური სისტემისთვისაა დამახასიათებელი, მის ავტორს მემკვიდრეობა ჰქონოდა გასათვალისწინებელი.

გერბის ფარი უფრო გერმანულს ჰგავს და ეპოქის შესატყვისადაა სტილიზებული. ფარი წითელია. საყოველთაოდ აღიარებული შვიდი ფერის (ვერცხლი, ოქრო, წითელი, ლაჟვარდი, მწვანე, მეწამული, შავი) გარდა, დასავლეთ-ევროპულ (ძირითადად ინგლისურ) ჰერალდიკაში, 1600 წლიდან მოყოლებული, ხანდახან სხვა ფერებსაც იყენებდნენ. რუმინული ჰერალდიკის ფერთა პალიტრა, ძირითად ფერებთან ერთად, დამატებით ნარინჯისფერსაც იცნობს.[35] არსებობს ჰერალდიკურ ფერთა ქრესტომატიული განმარტებები, მაგრამ თუ არაა ცნობილი, რომ გერბის შექმნისას მისმა ავტორმა ამა თუ იმ ფერს სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა, მოგვიანებით ბლაზონირებისას ხშირად მისი წაკითხვა მხოლოდ სუბიექტურ ინტერპრეტირებად რჩება. ვ.ს. ვეიდის განმარტებით[36], წითელი მხედრული მამაცობისა და დიდსულოვნების სიმბოლოა, მაგრამ ახლა ძნელია იმის თქმა, ანიჭებდა თუ არა ანთიმოზ ივერიელი ფარის ფერს ჰერალდიკურ-სიმბოლურ დატვირთვას, თუ უფრო ესთეტიკური ეფექტის მიღწევა სურდა. კონტრასტის ტექნიკის გამოყენებით მხატვარმა კონტურით შესრულებულ ლოკოკინას მჭახე ფონი შეუქმნა და ნიჟარის ვერცხლისფერი მქრქალი ბზინვარება გამოკვეთა. წითელსა და მიწის მწვანე თბილ ტონებს ვერცხლისფერი ცივი ტონი დაუპირისპირა და აქცენტი კომპოზიციის ვერტიკალურ ღერძზე გააკეთა. პირობითობის ხერხ-

---

[34] А. Лакиер, *Русская геральдика* (Москва, 1990), с.113.

[35] M. Dogaru, *Din Heraldica Romaniei* (Bucureşti,1994), I.

[36] W. C. Wade, *The Symbolisms of Heraldry or A Treatise on the Meanings and Derivations of Armorial Bearings,* (London, 1898), ob, www.digiserve.com/ heraldry.

ის გამოყენებით ვერტიკალურად აღმართული ლოკოკინის ფიგურის მეშვეობით ყურადღება ვარსკვლავისკენ გადაიტანა.

როგორც ჩანს, ანთიმოზ ივერიელი ქართული ხელოვნებისათვის ტრადიციული წყლის შროშანების ფართოდ გაშლილი ფოთლების ორნამენტთან ერთად ხშირად იყენებს ფაუნის სახეობათა გამომსახველობით ფორმებს. ცნობილია მის მინიატურებში მედალიონების ფორმის გერბები, რომელთა ემბლემებად ცხოველები და ფრინველებია (ფუტკარი, არწივი, ცხვარი...) გამოყენებული. ესაა რუმინეთის რეგიონების გერბები[37] (სურ: 9, 10,11 გარეკანის მესამე გვერდზე).

ჰერალდიკაში გვხვდება ნიჟარის ორი ტიპი: უფრო გავრცელებულია ზღვის ნიჟარა, რომელიც, ვ.ს. ვეიდის თანახმად,[38] ხანგრძლივი მოგზაურობის ან შორეული ქვეყნების ზღვით დალაშქვრის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალთა, ან დიად გამარჯვებათა მომპოვებელთა ემბლემაა. ეს ფიგურა ხშირად გამოიყენება და იგი, ამავე ავტორის მიხედვით, თავდაპირველად იმაფ გერბზე გამოისახებოდა, ვინც ქრისტიანული სიწმინდე წმ. იაკობ კომპოსტიელის საფლავი მოილოცა ესპანეთში, ხოლო მოგვიანებით შორს მოსალოცად ან ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლის სიმბოლოდ იქცა. უფრო იშვიათად იხმარება ხმელეთის ნიჟარა (ლოკოკინა).[39] ცხოველების, ფრინველებისა და მწერების გამოსახვა ჰერალდიკის მნიშვნელოვანი ხერხია. გერბებზე ემბლემად ქცეული ზოოსამყაროს ნიმუშები გერბის მფლობელთა წარსულის ასახვაა, მაგრამ თუ მემკვიდრეობითობის საფუძვლის გარეშე იქმნება ემბლემა, მაშინ ამა თუ იმ კულტურულ-ეთნიკურ შრეშია მისი სიმბოლური სტერეოტიპები

---

[37] M. Dogaru, დასახ. ნაშრომი, X-XI.

[38] W. C. Wade, დასახ. ნაშრომი.

[39] *Großes-Wappen-Bilder-Lexikon* (Battenberg, 1992), 439.

საძებნელი. ანთიმოზ ივერიელის, როგორც სასულიერო მოღვაწის, გერბზე გამოსახული ლოკოკინა რელიგიურ-სიმბოლისტური აზროვნების პლასტში განხილვისას იძენს აზრს.

უძველეს ხალხთა კულტურაში ლოკოკინა მთვარისა და ნაყოფიერების სიმბოლო იყო. ნიჟარის სპირალისებური ფორმისა და საცეცების გამოჩენა-დამალვის პერიოდულობის გამო იგი ციკლური პროცესების, კერძოდ, აღორძინებისა და აღდგომის სიმბოლოდ იქცა.[40] ხის ტოტებზე მცოცავი ლოკოკინა სიმბოლოა სიჯიუტისა და საქმის,



სურ.12. ანთიმოზ ივერიელის ხელმოწერა და ბეჭედი.

თუნდაც ნელა, მაგრამ აუცილებლად, ბოლომდე გასრულებისა. ხეზე ზემოთ მცოცავი ლოკოკინა სიფრთხილის, წინდახედულობის განსახიერებაა. გამომსახველობითი თვალსაზრისით, ლოკოკინა თავისი სპირალისებური სახლის გამორჩეული სილამაზითა და ჰარმონიულობით იქცევს ყურადღებას. ვაზის ლოკოკინას ერთი საგულისხმო თვისება აქვს: სიცივესა თუ სიცხეში კირის სახურავით ამოიქოლება ხოლმე საკუთარ „სახლში", ხოლო ზამთრის გადავლისა და გვალვის დამთავრებისას სარქველს ამტვრევს და კვლავ გამოდის გარეთ - ამის გამო იქცა იგი ქრისტეს აღდგომის სიმბოლოდაც. საკუთარი სახლის ყველგან ტარების თვისებით იგი მოკრძალებულობის სიმბოლოდაც მიაჩნიათ. ვ.ს. ვეიდის ჰერალდიკური ლექსიკონის განმარტებით, ლოკოკინა უზენაესისგან, განგებისგან დაცულობის სიმბოლოა[41].

---

[40] Дж. Тресидер, Словарь символов (Москва, 2001), 385.

[41] W. C. Wade, დასახ. ნაშრომი.

სურ.13. ქვაში გამოკვეთილი ლოკოკინის გამოსახულება ანთიმოზის მონასტრის შესასვლელში, ბუქარესტი.

როგორც აღვნიშნეთ, ანთიმოზის გერბზე ლოკოკინა ვერტიკალურადაა გამოსახული, იგი მიწიდან მიიმართება ექვსქიმიანი ვარსკვლავისაკენ და საცეცებით თითქმის ეხება მას. ვარსკვლავი კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა. ოდითგანვე იგი მარადიულობას განასახიერებდა მითოლოგიასა თუ კულტურის სხვა დარგებში. ჰერალდიკაში ვარსკვლავები ქიმებისა და ფერების მიხედვით განსხვავდებიან. ყველაზე მეტად გავრცელებულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ქრისტიანი ხალხის ჰერალდიკაში ვარსკვლავს თითქმის ყველგან ექვსი ქიმით გამოსახავდნენ. ანთიმოზის გერბზე ბიბლიური, ბეთლემის ექვსქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული - სიმბოლო მესიის, სინათლის, კაცობრიობის იმედისა და რწმენის.

ყველა ავტორი, ვინც კი ანთიმოზის გერბის შესახებ საუბრობს, თვლის, რომ გერბი თვით ანთიმოზის შექმნილია. „აქ გამომჟღავნდა მისი ერთდროულად კომპოზიციის ნატიფი გრძნობა, ევროპისათვის დამახასიათებელი ალეგორიისადმი სწრაფვის ერთგულება, ჰომილეტიკური ტალანტი“.[42]

როგორც ირკვევა, ანთიმოზს საბეჭდავიც ჰქონია (სურ.12), რომელზეც გამოსახული ყოფილა მისივე გერბი. ეს ტიპური შემთხვევაა: როგორც წესი, საბეჭდავზე გერბი ან გერბის

[42] M. Медведев, დასახ. ნაშრომი.

[43] M. Cazacu, Cine l-a ucis pe Antim Ivireanul ? *Magazin istoric, 4 (25),* (Bucureşti, 1969).

ფარზე მოთავსებული მთავარი ემბლემა გამოისახებოდა ხოლმე. დოკუმენტი, რომელმაც ანთიმოზის საბეჭდავის ანაბეჭდი და მისი ხელმოწერა შემოგვინახა, შექმნილია მიტროპოლიტის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე[43]. სხვა საბუთი, რომლიც ამ საბეჭდავით იქნებოდა დამოწმებული, ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

ანთიმოზის მიერ ბუქარესტში აგებულ მონასტერში ეკლესიის შესასვლელი კარის თავზე, ქვაში გამოყვანილი დახვეწილი ჩუქურთმების ცენტრში გამოკვეთილია ანთიმოზის გერბის მთავარი თემა - ლოკოკინა, რომელსაც საცეცები ექვსსხივიანი ვარსკვლავისკენ აუწვდია. აქ ამ გამოსახულებას არ აქვს გერბის კლასიკური ფორმა, არაა ფარი (თუნდაც სტილიზებული), არც მიტრა, ჩანს, არც ჯვარი და კვერთხი, მაგრამ არის ქვაში გამოთლილი ღვთის მადიდებელი ლოკოკინა და პალმის რტოები (სურ.13).

ეს ემბლემა გამოსახა ანთიმოზმა ამავე მონასტრის წესდების სხვა მინიატურაზეც რუმინეთის რეგიონების გერბებთან ერთად (სურ.14 გარეკანის მესამე გვერდზე).

როგორც წესი, სასულიერო პირები თავიანთი გერბების შექმნისას იყენებდნენ საკუთარ საგვარეულო ჰერალდიკურ ნიშნებს. მედვედევის აზრით, ანთიმოზ ივერიელი ვერ ისარგებლებდა წინაპრების გერბით, „რადგან იმ დროის საქართველოში უმაღლესი ფეოდალური წრეებისთვისაც კი უცნობი იყო ჰერალდიკური საფუძვლები."[44] ჰქონდა თუ არა ანთიმოზ ივერიელის გვარს გერბი ან საგვარეულო ემბლემა, ამის გარკვევა, რა თქმა უნდა, ახლა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ის კი უდავოა, რომ იმ ეპოქისთვის საქართველოში ჰერალდიკის შესახებ ნამდვილად იცოდნენ - ზუსტად ამ პერიოდში ანთიმოზის მიერ საქართველოში გამოგზავნილი მოსწავლის იშტვანოვიჩის მიერ დასტამბულმა წიგნებმა შემოგვინახეს ბაგრატიონთა გერბები.

საეკლესიო ხარისხის მაჩვენებელი ატრიბუტები გერ-

---

[44] М. Медведев, დასახ. ნაშრომი.

ბის ფარის მოჩარჩოებას ქმნიან და გარდა იმისა, რომ წარმოადგენენ დახვეწილ კომპოზიციას, ამავე დროს, ვ.მედვედევის აზრით, „ასახავენ ნაწილობრივ კათოლიკური საეკლესიო ჰერალდიკის სტერეოტიპებს და თან, უპირველეს ყოვლისა, შეესატყვისებიან მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკულ ტრადიციებს."[45]

ანთიმოზის საეკლესიო ხარისხის ნიშნები ფარის უკან და თავზე მოთავსებული ელემენტებია: გვირგვინი, ქუდი, ჯვარი და კვერთხი.

გერბის გვირგვინით შემკობის ტრადიცია დასავლეთ ევროპაში XV საუკუნიდან ჩნდება, მას თავდაპირველად დიდი ფეოდალები იყენებდნენ. სამეფო წარმოშობისა და სხვა დიდგვაროვანი მემკვიდრეობის მქონე ეპისკოპოსები ხშირად თავიანთ გერბებს ყარყუმის მანტიის ფონზე გამოსახავდნენ და ფარის ზემოთ სამეფო გვირგვინსაც ათავსებდნენ, თუმცა ეს წესი მიუღებელი იყო ეკლესიისათვის. რადგან, ჯერ ერთი, ითვლება, რომ საეკლესიო ღირსება ყოველთვის აღემატება სახელმწიფო-საერო ხარისხს, მეორეც, ეკლესიას აქვს თავისი იერარქია და თავისი ჰერალდიკური ნიშნები. ყველა სასულიერო პირი ერთმანეთის სულიერი ძმაა და არ უნდა არსებობდეს მათ შორის განსხვავება წარმოშობის, სიღარიბისა თუ სიმდიდრის მიხედვით. სასულირო პირმა შეიძლება თავის გერბზე გამოსახოს გვარის ჰერალდიკური ესა თუ ის ნიშანი, მაგრამ ხაზი არ უნდა გაესვას სოციალურ უპირატესობას, აქედან გამომდინარე, საეკლესიო გერბზე მიზანშეუწონელია გვირგვინის გამოყენება[46]. ამიტომაც დაიკავა საეკლესიო გერბებში გვირგვინის ადგილი მიტრამ.

ჰერალდიკური მიტრა თავსდება ყველა იმ პირის გერბზე, რომელსაც კათოლიკური, აღმოსავლური, ანგლიკანური ეკლესიების მიერ თეორიულად თუ ფაქტობრივად მინიჭებული

---

[45] М. Медведев, იქვე.

[46] B.Heim, დასახ. ნაშრომი, 78

სურ.15. დომენტი კათალიკოსის რვაკუთხა ბეჭედი.

სურ.16. ბესარიონ კათალიკოსის ოვალური ბეჭედი.

აქვს მიტრის ტარების უფლება. მას ხმარობენ არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები. მიტრის, როგორც აღკაზმულობის ელემენტის ხმარება, რა თქმა უნდა, დიდი ხნით უსწრებს წინ მის ჰერალდიკაში გამოყენებას. მისი უძველესი გამოსახულება შემონახულია მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისის მინიატიურებზე. წერილობით კი პირველად ნახსენებია პაპ ლეო IX-ის 1049 წლის ბულაში.

გავრცელებული მოსაზრებით, მართლმადიდებლურ რიტუალში ლიტურგიკულ თავსარქმელს არ ატარებდნენ მეთექვსმეტე საუკუნემდე. თუმცა, ზოგი ავტორის აზრით, აღმოსავლეთ ეკლესიაში სასულიერო პირები უფრო ადრე იყენებდნენ თავსაბურავს. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების ერთიანობის ხანაში მიტრას ატარებდა რომის ეპისკოპოსიცა და ალექსანდრიის ეპისკოპოსიც. უცნობია, ვინ მისცა მათ ამის უფლება? შესაძლებელია, მათ ეს უძველესი მღვდელმთავრის თავსარქმელის მიბაძვით გააკეთეს, არსებობს მოსაზრება, თითქოს რომის პაპ სილვესტრეს პირველმა ქრისტიანმა მეფემ კონსტანტინემ უბოძა თავსარქმელი. სიგელში, რომელიც მეფე კონსტანტინემ გაუგზავნა ლათინებს, ნათქვამია, რომ იგი უძღვნის სილვესტრეს,

[47] Архиепископ Вениамин, *Новая Скрижаль* (Москва, 1992), 143

როგორც სულიერ მამას, გვირგვინს მისი სიწმინდის თაყვანისცემის ნიშნად. მაგრამ როდესაც სილვესტრემ, მოკრძალების გამო, უარი თქვა ამ საჩუქარზე, მეფემ თავიდან მოიხსნა სარტყელი, რომელსაც მეფეები ატარებდნენ და აიძულა იგი, მიეღო ძღვენი. მიტრა ევანგელეს სიმბოლოდაც ითვლება[47].

მიტრა, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ბერძნების თავსაბურავიდან მომდინარეობს, ასეთ თავსაბურავს იყენებდნენ პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსები (უკან შეკრული ოქროსფერი ზონარი ამკობდათ იოანე ღვთისმეტყველს, წმ. მარკოზსა და იერუსალიმის ეპისკოპოსს იაკობ მცირეს). დროთა განმავლობაში თავსაბურავი სიმაღლეში წაგრძელდა და იქცა ზემო მხრიდან გახსნილ, ორი წამახვილებული ნაწილისგან შედგენილ ქუდად. ეს ორი წამახვილებული ნახევარი იესოს ჯვარცმიდან ორმოცდამეათე დღეს იერუსალიმში მოციქულებზე სულიწმინდის მოფენისას გადმოსული ცეცხლის ენების სიმბოლოა[48] („და ეჩვენეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი და დაადგრა თითოეულად კაცად კაცადსა მათსა ზედა" - საქმე მოციქულთა, 2.3). პირველად VI საუკუნეში კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა იოანე კაბადოკიელმა შეამკო მიტრა ნაქარგებით და სარიტუალო-საზეიმო ელფერი მისცა. წმინდანთა გამოსახულებები შუბლის მხარეს იყო უპირატესად მოთავსებული. ეს სიახლე დასავლეთშიც გავრცელდა. XII საუკუნემდე მიტრა დაბალი იყო. მოგვიანებით იგი იმდენად მნიშვნელოვანი ატრიბუტი გახდა ეპისკოპოსთათვის, რომ მასზე ფიცსაც კი დებდნენ. აღმოსავლეთ ეკლესიაში XI საუკუნიდან მიტრა საიმპერატორო გვირგვინთანაც გაიგივდა (ეპისკოპოსი – ხატი მეუფე ქრისტესი).[49] მის სიმბოლიზმს ზემოთ ნათ-

---

[48] A. A.Jones, *Illustrated dictionary world religions,* (Exeter, 1982), 153.

[49] საგულისხმოა, რომ ქართველ კათალიკოსთა საბეჭდავებზე ქრისტეს სახის გამოსახულება დროთა განმავლობაში მიტრას გამოსახულებამ შეცვალა. იხ. ა. ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის* (თბილისი, 1978),

ქვამისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციაც აქვს, თუმცა ეს განმარტებაც, ეკლის გვირგვინთან და მკვდრეთით აღმდგარი იესოს საფლავში დაგდებულ სუდარასთან პარალელის გამო („და სუდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თვისაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა". - იოანე, 20.7.), მოციქულებთან არის დაკავშირებული.

დროთა განმავლობაში მიტრას ფორმა შეეცვალა, ზემოთ დაიხურა, გაგანიერდა და მომრგვალდა. ამ ფორმის მიტრას იყენებს მართლმადიდებელი ეკლესია.

ანთიმოზ ივერიელის გერბზე გამოსახულ მიტრას თავზე ადგას ჯვარი, ეს მართლმადიდებლური ჰერალდიკის ტრადიციაა. ჯვრიან მიტრას იყენებენ მღვდელმთავრები. ასეთ მიტრას ვხვდებით კიევის მიტროპოლიტის მოგილას მეორე გერბსა (კიევის მახლობლად, გოლოსიევსკის მონასტერში დაცული გერბი, რომელზეც აღარაა ზონრებიანი და ფოჩებიანი ქუდი[50]. მოგილას პირველი გერბის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.) და რუსეთის პატრიარქის ნიკონის (1659 წ.) გერბზე[51]. ამ წესს აგრძელებს თანამედროვე რუმინული[52] და რუსული[53] საეკლესიო ჰერალდიკა. მიტრას გამოსახულებები ამკობს მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე საქართველოს კათალიკოზების დომენტის რვაკუთხა საბეჭდავს[54] (სურ.15) და ბესარიონის ოვალურ საბეჭდავს[55] (სურ.16).

ანთიმოზ ივერიელის გერბის ფარის უკან გადაჯვარედინებულია ჯვარი და მოძღვრის „ორტოტიანი" კვერთხი.

კვერთხი ფართოდ გავრცელებული გარე ელემენტია სასულიერო პირთა გერბებზე. იგი სამწყსოსთან დაკავშირებული ეპისკოპოსის ღირსების სიმბოლოა. მისი კვალი მეოთხე

---

[50] А. Лакиер, დასახ. ნაშრომი, ტაბ. IX.

[51] А. Лакиер. იქვე, 108-110.

[52] M. Dogaru, დასახ. ნაშრომი, XC-XCI.

[53] Е. Комаровский, *Новые церковные гербы*, газ. *Церковный вестник*.2(231).

[54] ს. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, XXXV.

[55] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1574.



სურ.17. ანთიმოზ ივერიელის ფრესკა გოვორის მონასტერში.

საუკუნიდან მოდის. ადრეულ ფორმებში იგი უბრალოდ იხრება ან მსხვილდება, აღმოსავლურ ეკლესიებში კვერთხი ბოლოვდება ერთმანეთისკენ შებრუნებული კაუჭებით. დღეს ეს ფორმები დახვეწილია. კვერთხის თავის ასეთი დაბოლოება მხატვრულ-დეკორატიულია და თან გამდიდრებულია მეცხვარის კომბალთან სიმბოლური მსგავსებით. დასავლეთის საეკლესიო გერბებში, გავრცელებული რწმენის მიხედვით, თუ აბატის შემთხვევაში კაუჭი შიგნით უნდა იყოს მიქცეული, ეპისკოპოსის შემთხვევაში – პირიქით – გარეთ. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ აბატის შემთხვევაში მისი იურისდიქცია მთავრდება სააბატოს შიგნით, ეპისკოპოსის ძალაუფლება კი ამგვარად შეზღუდული არაა. მსგავსი სიმბოლური მინიშნება იკითხება ფართოდ გავრცელებულ ჰერალდიკურ პრაქტიკაშიც, რომლის მიხედვითაც აბატის კვერთხი თავსდება მარცხენა კუთხეში ფარის უკან, მიტრისაკენ შიგნით მიქცეული კაუჭით, მაშინ, როდესაც ეპისკოპოსის კვერთხისათვის მიღებულია საპირისპირო პოზიციაში გამოსახვა. ჩვენთვის უცნობია, მართლმადიდებლურ საეკლესიო გერბებზე კვერთხი თუ უკავშირდება გერბის მფლობელის იურისდიქციის ამა თუ იმ ფორმას.

საინტერესოა ეპისკოპოსისა და პატრიარქად კურთხევის წესები მართლმადიდებელ ეკლესიაში. ეპისკოპოსად კურთხევის რიტუალის ბოლოს, როდესაც კათალიკოსი ეპისკოპოსს ჩააცმევს ანაფორას, მისცემს პანაღეას, მანტიას, კუნკულსა „და შემდგომად აღვალს კათოლიკოსი კათედრასა ზედა და საშუალ ეკლესიისა დადგების; უპირატესისა დეკანოზისა და პროტოდიაკონისაგან მოიყვანების ახალი იგი მღვდელმთავარი, რომელსაცა მისცემს კათოლიკოსი კუერთხსა მწყემსობითსა და ეტყვის: „მიიღე კუერთხი ესე, რათა დამწყემსო რწმუნებული შენდა სამწყსოჲ ქრისტჱსი; რომელსა ჰრწმენეს შენი, იყავნ მას ზედა კუერთხ და სიმტკიცე, და რომელსა არა ჰრწმენეს შენი

[56] *წესი, რომელი იქმნების ხელთდასხმასა ზედა ეპისკოპოსის* (თბილისი, 1997), 20.

და უდებ იქმნეს, მიაქციე მას ზედა საგუემელად კუერთხი ესე შენი სატანჯველად მისა"[56]. რაც შეეხება პატრიარქად კურთხევას, „აღრჩეული აღვალს ტაძრად თანაშემდგომითა ყოველთა თანამწირველთაჲთა (შეისწავე, ვითარმედ კუერთხი ხელთა არა უპყრიეს)... შემდგომად ამისა მივალს უპირატესი მღვდელთმთავარი, მიართმევს მას კუერთხსა, ემთხვევა მარჯუენესა მისსა და ეტყვის: „მიიღე კუერთხი ესე, სახე მოსწს კუერთხისაჲ, რათა, ვითარცა მან განაპო ზღუაჲ მეწამული და აღიყვანა ძველი ისრაწლი ქუეყანად აღთქუმისა, ეგრეთვე შენცა, განძლიერებულმან და მას ზედა დაყრდნობილმან, განაპო ზღუაჲ მსოფლიო ღელვაგუემისაჲ და ძლო შეყვანად ახლისა ისრაწლისა ქუეყანასა საუკუნოჲსა აღთქუმისასა. განმტკიცდი და განძლიერდი, ვჲნაჲთგან სიტყუა-გიც მიცემად ღმერთსა ჩუენსა და მწყემსთმთავარსა იესუ ქრისტესა"[57]. როგორც კორნელი კეკელიძე, შემდგენელი და პირველგამომცემელი ამ წესებისა, ამბობს, ეპისკოპოსის კურთხევის ცერემონიალი ანტონ კათალიკოსს უთარგმნია მე-18 ს. რუსეთის ეკლესიის „არქიერატიკონიდან", ხოლო კათალიკოსის კურთხევის ცერემონიალი ბერძნულის მიხედვითაა. ამ წესებიდანაც აშკარად ჩანს მღვდელმთავრისათვის კვერთხის განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა.

კვერთხი სასულიერო ძალაუფლებისა და ძლიერების სიმბოლოა („დამწყესე შენი კვერთხით შენი ერი, შენი სამკვიდრო ფარა", - მიქა წინასწარმეტყველი, VII, 14. „გსურთ? კვერთხით მოვიდე თქვენთან, თუ სიყვარულითა და თვინიერების სულით?" - პირველი კორინთელთა მიმართ, 4. 21) და მიტრასთან ერთად ეპისკოპოსთა და არქიეპისკოპოსთა ნიშანია[58]. უძველესი ქრისტიანული გამოსახულებები ქრისტესი მას კეთილი მწყემსის სახით, კვერთხით ხელში წარმოგვიდგენენ. ზუსტად ასევე, კვერთხით ხელში, გამოსახ-

---

[57] *კურთხევა და საყდრად აღყვანება კათოლიკოს-პატრიარქისა* (თბილისი, 1997), 24.

[58] А. Лакиер, დასახ. ნაშრომი, 46.

სურ.18. პეტრე მოგილას გერბი

ავდნენ მოციქულებს პეტრესა და პავლეს. ეს მისია სასულიერო ძალაუფლების სახით ამ მოციქულებისგან კი მათ მემკვიდრეებს – ეპისკოპოსებს გადაეცათ. ეპისკოპოსების ხელში კვერთხი სიმბოლურად მიანიშნებს მისი როგორც სასულიერო სამწყსოს მწყემსის მისიაზე: იზრუნოს მის სიმრთელეზე და დაიცვას იგი. ისტორიული ცნობები ადასტურებენ, რომ დასავლეთში კვერთხი, როგორც ეპისკოპოსთა ძალაუფლების სიმბოლო, უფრო ადრე გამოიყენე-

ბოდა, ვიდრე აღმოსავლეთში. მე-5 საუკუნეში პაპ ცელესტინის წერილი გალილეის ეპისკოპოსებისადმი ადასტურებს კვერთხის გამოყენებას იმ დროის დასავლეთის ეკლესიაში. ერთი საუკუნით გვიანდელია ცნობები აღმოსავლეთ ეკლესიაში კვერთხის არსებობის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველი ფორმა კვერთხისა მწყემსის კომბლის მსგავსი იყო, თავში მოღუნული. მოგვიანებით პატრიარქის კვერთხს, ეპისკოპოსებისა და იღუმენთა კვერთხისგან რომ განსხვავებულიყო, ფორმა შეეცვალა და ღუზის მსგავსი, ორრქიანი გახდა. მე-16 საუკუნიდან გამოიყენება კვერთხი არა ღუზის მსგავსი დაბოლოებით, არამედ ამობრუნებული, ზემოთ ერთმანეთის პირისპირ მიმართული ბოლოებით, ამ დაბოლოებებს გველის თავების გამოსახულება აქვთ, ეს ეპისკოპოსთა მმართველობის სიბრძნეზე („იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი". – მათე, 10.16.) მიანიშნებს[59].

საგულისხმოა, რომ ზუსტად ასეთივე, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, ჯვარი და კვერთხი გვხვდება ქართულ საბეჭდავებზეც. კერძოდ, კათალიკოს დომენტის II-ის რვაკუთხა საბეჭდავზე (სურ. 14), რომელიც შემონახულია 1672 წლით დათარიღებულ საბუთზე,[60] კათალიკოს დომენტი III-ის ოთხკუთხა საბეჭდავზე (საბუთი[61], რომელმაც შემოგვინახა ბეჭედი, თარიღდება 1710-1713 წწ) და რვაკუთხა საბეჭდავზე (გამოსახულია 1705 წ. და 1739 წ. დათარიღებულ საბუთებზე[62]). ჯვარი და ორკაპა კვერთხი მოთავსებულია კიევის მიტროპოლიტის პეტრე მოგილას, რუსეთის პატრიარქის ნიკონის, რუმინეთის საპატრიარქოს, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა გერბებზე. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ასეთი კვერთხი უპყრია ხელთ წმ. ანთიმოზ ივერიელს გოვორის (რუმინეთი) მონასტერში გამოსახულ ფრესკაზე

---

[59] Польный православный Богословскій энциклопедическій словаръ, (1912), 878.

[60] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1689.

[61] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 319, 1733.

[62] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტე, Qd 341, Hd 2445.

(სურ. 17).

ანთიმოზ ივერიელმა თავისი გერბის კომპოზიცია დაამთავრა დასავლეთის საეკლესიო ჰერალდიკაში ფართოდ გავრცელებული ელემენტით, ზონრებმიმაგრებული ფარფლებიანი ქუდით (ე.წ. შლაპით), როგორსაც ათავსებდნენ და ახლაც გამოსახავენ თავიანთ გერბებზე კარდინალები და დასავლეთის ეკლესიის ეპისკოპოსები. „ამ შემთხვევაში ივერიელი თავისუფალი იყო: კარდინალის ქუდს პირდაპირი ანალოგი არ მოეძებნება მართლმადიდებლურ ტრადიციაში, მას იყენებდნენ სხვა მართლმადიდებელი იერარქებიც: კიევის მიტროპოლიტი პეტრე მოგილა (სურ. 18) და ვლახეთის ტახტზე ანთიმოზის წინამორბედი მიტროპოლიტი სტეფანე".[63]

კათოლიკური ეკლესია რუმინეთში დაჟინებით ცდილობდა ფეხის მოკიდებას. ანთიმოზის წინამორბედი რიმნიკის საეპისკოპოსო ტახტიდან 1705 წელს კათოლიციზმის მიმდევრობის გამო გადააყენეს. ანთიმოზი მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში დაუღალავად ებრძოდა კათოლიციზმის ექსპანსიას. განუზომელია ანთიმოზის დამსახურება ღვთისმსახურების რუმინულ ენაზე შემოღებასთან დაკავშირებით - მანამდე ვლახეთში ღვთისმსახურება საეკლესიო სლავურ ენაზე მიმდინარეობდა. იგი არა მხოლოდ ინიციატორი იყო ამ რეფორმისა, თავადაც უშუალოდ მონაწილეობდა მთარგმნელობით საქმიანობაში. ამიტომ ნაკლებსარწმუნოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ვლახეთის მიტროპოლიტს, თუნდაც თავისი წინამორბედის მაგალითის მცოდნეს, თავის გერბზე გამოეყენებინა ისეთი ელემენტი, რომელიც კათოლიკურობის ნიშნით იქნებოდა აღბეჭდილი (სწორედ მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუს მმართველობისას, რომელსაც ქრონოლოგიურად ემთხვევა ანთიმოზის მოღვაწეობა, ვლახეთი „გადაიქცა მართლმადიდებლობის ერთ-ერთ მთავარ კერად მთელს აღმოსავლეთში"[64]).

---

[63] M. Медведев, დასახ. ნაშრომი.

[64] M. Роллер, დასახ. ნაშრომი, 184.

[65] Heraldic Dictionari, იხ. http://www.nd.edu.

ნოტრ-დამის უნივერსიტეტის ჰერალდიკური ლექსიკონის[65] თანახმად, კათოლიკურ საეკლესიო გერბზე გვირგვინები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: პირველია პაპების გვირგვინი - ტიარა, მეორე – ეპისკოპოსის მიტრა (კათოლიკური მიტრა მართლმადიდებლურისგან განსხვავდება ფორმითაც და მფლობელთა საეკლესიო ხარისხების მიხედვითაც) და მესამეა საეკლესიო ქუდი. ეს უკანასკნელი ჯგუფი, ფერისა და ფოჩების რაოდენობის მიხედვით, იყოფა რამდენიმე ქვეჯგუფად. დასავლეთის საეკლესიო ჰერალდიკაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მორთულობაა მღვდელმთავრის ფართოფარფლებიანი ქუდი, მას ასევე პრელატის შლაპას, ან უბრალოდ მღვდლის შლაპას უწოდებენ.

პირველი საეკლესიო შლაპა, როგორც განმასხვავებელი ნიშანი, კარდინალის წითელი ქუდი იყო, რომელიც, საყოველთაოდ მიღებული ტრადიციის თანახმად, პაპმა ინოკენტი IV-მ (1243-1254 წწ.) უბოძა კარდინალებს სხვა პრელატებისაგან გამოსარჩევად დიდი საზეიმო მსვლელობების დროს.

წითელი შლაპა უნდა ახსენებდეთ კარდინალებს მათ ვალდებულებას, დაიცვან ეკლესია თუნდაც თავიანთი სიცოცხლისა და სისხლის ფასად.

ქუდს, რომელსაც იღებდა კარდინალი, უკვე კარგა ხნის წინ ჰქონდა დაკარგული ძველი კლასიკური ფორმა.

კარდინალის ქუდი ფორმით პილიგრამის ფართოფარფლებიან ქუდს ჰგავს, ფარფლებში გაყრილი ორი ზონარი ფუნჯებით ბოლოვდება. ადრე ეს ზონრები შეკრული იყო ნიკაპის ქვეშ, ან შეკრული იყო მოძრავი რგოლით ქუდის დასამაგრებლად.

უძველესი ფარფლებიანი ქუდის კლასიკური ფორმა სრულიად ბრტყელი და სატარებლად ძალიან მოუხერხებელი ყოფილა. პაპა პავლე VI-მ (1963-1978 წწ.) შეცვალა ტრადიცია და წითელი შლაპის ნაცვლად კარდინალებითვის მოკლე წითელი ქუდის გადაცემა შემოიღო.

სურ.19. სვეტიცხოვლის ფრესკა.

კარდინალის შლაპა გერბზე ფარის ზემოთ თავსდებოდა. ჰერალდიკაში მისი გამოყენება მე-14 საუკუნიდან დაიწყო და მე-15 საუკუნიდან ფართოდ გავრცელდა, ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნეში მისი გამოყენება დაბალი წოდების სასულიერო პირებმაც დაიწყეს, ამასთან ერთად კარდინალთა გერბებიდან გაქრა მიტრა. თავიდან არ იყო განსაზღვრული ზონრის ბოლოს ფუნჯების რიცხვი, ზოგჯერ ზონრები

ფუნჯების გარეშეც გამოისახებოდა. 1832 წლიდან, ცერემონიის კონგრეგაციის გადაწყვეტილებით, საბოლოოდ დადგინდა; რომ კარდინალების ქუდის ერთ მხარეს ზონარზე 15 ფუნჯი უნდა ყოფილიყო მიმაგრებული.

მე-17 საუკუნეში ჰერალდიკოსმა პიერ პელიოტმა ერთ-ერთმა პირველმა სცადა, დაედგინა საგერბო მუზარადებისა და გვირგვინების იერარქია და, მასთან ერთად, ფართოფარფლებიანი ქუდების გამოყენების წესის სისტემატიზაციაც მოახდინა. თუმცა პაპ პიუს X-ის (1903-1914 წწ.) მიერ ინსტრუქციის მიღებამდე მაინც ვერ მოხერხდა, საერთო კონტროლს დაქვემდებარებოდა დაბალი რანგის პრელატების მიერ ფართოფარფლებიანი ქუდის გამოყენება.[66]

მაშასადამე, საეკლესიო ქუდის ჰერალდიკურ გამოყენებას საფუძვლად უდევს კარდინალების წითელი ქუდი, რომელიც, როგორც სამოსის ნაწილი, გამოიყენება მე-13 საუკუნის შუა ხანებიდან. თვით ქუდის გაგზავნა, რა თქმა უნდა, იყო ცერემონიის მნიშვნელოვანი ნაწილი. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ქუდის გამოყენება ჰერალდიკაში წოდების აღმნიშვნელად.

დასავლურ საეკლესიო ჰერალდიკაში წითელი ქუდის გარდა გამოიყენება სხვა ფერის ქუდებიც: მწვანე ქუდი აქვთ პატრიარქებს, არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებსა და არქაბატებს. პატრიარქს აქვს 15 ფოჩი, ისევე როგორც კარდინალს, მაგრამ პატრიარქის ქუდის ზონრები და ფოჩები ოქროთია მოწნული. არქიეპისკოპოსს აქვს 10 ფოჩი, ეპისკოპოსს აქვს 6 ფოჩი, მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნემდე ეპისკოპოსები ხმარობდნენ 10 ფოჩს.

ორდენების ხელმძღვანელებს ენიჭებათ შავი ქუდი ექვსი ფოჩით; სამი ფოჩით ენიჭებათ კათედრალური ტაძრის წინამძღვართ, მიტრიან აბატებს. ორი ფოჩით ენიჭებათ ადგილობრივ წინამძღვრებს, მონასტრების წინამძღვრებსა და რექტორს. ჩვეულებრივი მღვდლის საეკლესიო ქუდის

---

[66] B.Heim, დასახ. ნაშრომი, 67.

ფერი შავია, აქვს იგივე ფორმა და თავდაპირველად ჰქონდა თითო იმავე ფერის ფოჩი თითოეულ მხარეზე, მოგვიანებით ორი ფოჩით შეიცვალა. მიუხედავად ამისა, ვატიკანი უბრალო მღვდლისათვის ცნობს შავ ქუდს თითო ფოჩით.

იისფერი ქუდი აქვთ პაპის პალატის პრელატებს (10 წითელი ფოჩით თითოეულ მხარეზე) და პაპის პროტონოტარებს (6 წითელი ფოჩით თითოეულ მხარეზე). პაპის საშინაო პრელატებს, ნაზიარებ მმართველებსა და კაპელანებს აქვთ იისფერი ქუდი 6 იისფერი ფოჩით. საპატიო მმართველებსა და კაპელანებს აქვთ იისფერი ქუდი, მაგრამ მხოლოდ სამი იისფერი ფოჩით.

არსებობს თეთრი ქუდის გამოყენების პრაქტიკაც.

ამავე დროს საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს წესები, ანთიმოზის და, მით უფრო, მოგილას მოღვაწეობის ეპოქასთან შედარებით, უფრო გვიანდელია. ასე რომ, მე-18 საუკუნის დასაწყისისთვის ანთიმოზ ივერიელისა და კიევის მიტროპოლიტის პეტრე მოგილას გერბებზე (მოგილას ეს გერბი შემონახულია 1639 წ. გამოცემულ წიგნზე) გამოსახული ქუდები კათოლიკურ საკლესიო ხარისხებთან პარალელისთვის არ გამოდგება.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პეტრე მოგილა მოლდავური წარმოშობისაა, სავარაუდოა, რომ მისი და ივერიელის გერბების ფარების ზემოთ გამოსახული ფარფლებიანი ქუდი იმ პერიოდის რუმინულ-მოლდავურ სამყაროში სასულიერო პირთა სამოსელისთვის უცხო არ იყო და იგი მხოლოდ კათოლიკური გერბების ელემენტს არ წარმოადგენდა, როგორც ეს მოგვიანებით იქცა. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ ცნობილი რუსი ჰერალდიკოსი ალეკსანდრ ლაკიერი მოგილას გერბზე გამოსახულ ქუდს მოლდავურს უწოდებს და არა კათოლიკურს („молдавскою шапкою коронован герб"[67]). ამ თვალსაზრისით

[67] А. Лакиер, დასახ. ნაშრომი, 108.

[68] ვ.ბერიძე, მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი" და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში, *მუზეუმის მოამბე, X* (თბილისი, 1948), 141.

სურ.20. ანთიმოზის მონასტრის წესდების მინიატურა.

უაღრესად საყურადღებოა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში არსებული ფრესკა (სურ. 19), რომელზედაც გამოსახულია საერო ხელისუფალთა შეხვედრა სასულიერო პირებთან. საეკლესიო მამების წინამძღოლს ზუსტად ისეთი ფართოფრთიანი ქუდი ახურავს, როგორიც ანთიმოზ ივერიელისა და მოგილას გერბებზეა გამოსახული (ზონრისა და ფოჩის გარეშე). ეს ფრესკა მოხატულია მე-17 საუკუნის მიწურულს, 1678-88 წლებში[68]. მასზე გამოსახულნი არიან მე-4 საუკუნეში მეფე მირიანის მიერ საბერძნეთიდან საგანგებოდ მოწვეული სასულიერო პირები. ფართოფრთიანი ქუდით შემოსილი პერსონაჟი ბერძენთა მეფის კონსტანტინეს გამოგზავნილი იოვანე ეპისკოპოსია („მოიწია იოვანე ეპისკოპოსი და მის თანა მღდელნი და დიაკონნი და მოციქულნი მცხეთად"[69]). როგორც ჩანს, მე-17 საუკუნის საქართველოში ასეთი ქუდი კათოლიკურ საეკლესიო ინსიგნიად არ აღიქმებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარად არ შემოსავდა ფრესკის ავტორი, როგორც ივანე ჯავახიშვილი უწოდებს, „ქართველთა მომნათვლელ სამღვდელოებას."[70] შესაძლოა, რომ ან უცხოური სამოსელის ნაწილად ჩათვალა მხატვარმა ამგვარი ქუდი და ამიტომ დაახურა თავზე საბერძნეთიდან მოსულ საეკლესიო მამას, რითაც სცადა ხაზი გაესვა მისი უცხოური წარმომავლობისთვის, ან ფართოფარფლიანი ქუდი გამოიყენა მისი უპირველესი დანიშნულებით – როგორც შორი გზებით მოგზაურ სასულიერო პირთა თავსარქმელი – იოვანე ეპისკოპოსი ხომ საბერძნეთიდან ჩამოვიდა? ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა XIV–XV საუკუნეებით დათარიღებული წიგნის მინიატურაზე გამოსახული ბიზანტიის იმპერატორის მიხაილ VIII პალეოლოგის (1224–1282) პორტრეტი[71], სადაც იმპერატორს თავზე ფართოფრთიანი ქუდი ახურავს, ასეთივე ქუდები ახურავთ

---

[69] *ქართლის ცხოვრება* (თბილისი, 1955), 116.

[70] ივ.ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია, I,II* (თბილისი, 1913), 180.

[71] С. Дашков, *Императоры Византии* (Москва, 1996), 283.

[72] С. Дашков, იქვე, 298.

აგრეთვე ერთ-ერთი წიგნის მინიატიურაზე იმპერატორ იოანე VI-სთან (1295 – 1383) ერთად გამოსახულ სასულიერო პირებს[72] – ამგვარი ფაქტები კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ თავდაპირველად ფართოფრთიანი ქუდის გამოყენების არეალი ფართო იყო და მას არ ჰქონდა მხოლოდ დასავლურ-საეკლესიო დანიშნულება.

ივერიელისა და მოგილას გერბების ქუდზე მიმაგრებული ორი ზონარი იმ თავსამკაულის (თავსაბურავი სარტყელი, რომელიც უკან იკვანძება) სიმბოლოა, რომელსაც პირველი ქრისტიანი მღვდელმსახურები ატარებდნენ და რომლისგანაც მომდინარეობს თანამედროვე მიტრა. სწორედ მის განსხვავებულ ფორმებს იყენებენ კათოლიკურ-ანგლიკანური და მართლმადიდებელი ეკლესიები. ჰ. გატერერის თანახმადაც, ჰერალდიკაში ქუდი ორი ზონრითა და დაკიდებული ფუნჯებით თავისუფლების, უპირატესობის, დამოუკიდებლობის სიმბოლო და ამავე დროს ქურუმთა და პირველმოძღვართა ნიშანია.[73]

მოგილას გერბებზე გამოსახული ქუდი პატრიარქ ნიკონის გერბზე, რომელიც უდავოდ მოგილას გერბის მიხედვითაა შექმნილი, აღარ ჩანს და მხოლოდ მიტრაა წარმოდგენილი, ხოლო „მოლდავური" ქუდიდან მხოლოდ ფოჩიანი ზონრები რჩება. ეს ლოგიკურია, რადგან ზონრები მიტრის და ყველა საეკლესიო თავსაბურავის წინამორბედის - პირველ ქრისტიან მოძღვართა თავსაბურავის უკან შეკრულ-შეკვანძულ ზონრებს მიანიშნებს. მოგვიანებით შექმნილ რუმინულ საეპისკოპოსო და სამიტროპოლიტო გერბებსაც ასეთი ზონრები ამკობს.

ანთიმოზის გერბს ახლავს კიდევ ერთი დეტალი – პალმის გვირგვინი, რომელიც ფარის გვერდებსა და ქვედა ნაწილს აჩარჩოებს. ეს გერბის ელემენტი არაა, უფრო დეკორატიულ დამატებას წარმოადგენს, თუმცა მას მაინც

---

[73] Х. Гаттерер, *Начертание гербоведения. Первое издание по теории геральдики, выпущенное на русском язы,е* (1805), www.apress.ru/pages/greif/bib/httrr/.

[74] W. C. Wade, დასახ. ნაშრომი.

[75] *Biserica ortodoxa Romina*, დასახ. ნომერი, 819.

გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვს: პალმის რტოების კომპოზიცია გერბის მფლობელის ღირსების ნიშნის ალეგორიაა. პალმა, ვ.ს. ვეიდის განმარტების თანახმად, დღეგრძელობის, ხანგრძლივობის სიმბოლოა.[74] ეს დეკორატიული ელემენტი ანთიმოზ ივერიელის სხვა ნაწარმოებშიც გვხვდება: ამავე ტიპიკონის მე-6 ფურცელზე მინიატურაში (სურ.20) გამოსახულ ანთიმოზის მიერ ბუქარესტში აგებული მონასტრის თავზე, ღრუბლებზე ამაღლებულ ანგელოზებს ხელთ პალმის რტოები უპყრიათ.[75] პალმის რტოებითაა შემკული ანთიმის მონასტრის კედელზე ქვაში გამოკვეთილი ლოკოკინა. როგორც ჩანს, იმ ეპოქის რუმინეთის გლიპტიკაშიც გამოიყენებოდა პალმის რტოს მოტივი: ზუსტად ასეთივე პალმის რტოების მოჩარჩოება, როგორიც ანთიმოზის გერბის ფარს აქვს, ამკობს რუმინეთის მთავრის კონსტანტინ მავროკორდატის 1736 წლით დათარიღებულ საბეჭდავს,[76] ეს ის მთავარია, რომლის ბრძანებითაც მოკლეს ანთიმოზ ივერიელი.

თავისთავად მაღალი მხატვრული დონის ნაწარმოებია ანთიმოზის გერბი როგორც გრაფიკული ოსტატობის, ასევე ჰერალდიკის თვალსაზრისით, თუმცა მის შესახებ წარმოდგენა ნაკლული იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ორნამენტების თვალისმომჭრელ სილამაზეს, რომლის ჩარჩოსა და წრეშიცაა მოთავსებული გერბი. ჩარჩო ორ სიბრტყედ, ბაგეტისებურად კრავს წრეს, რომელშიც ჩახატულია გერბი. პირველი, გარე მოჩარჩოება უფრო ფართო ჩუქურთმებით ოთხი წითელი ვარდისა და წვრილი ფოთლების დეკორისგან შედგება. შიდა ჩარჩო გარეთას ფოთლების დეკორს იმეორებს, მაგრამ მცირე მასშტაბით, და პერსპექტივის განცდას ქმნის. ამ ხერხით კვადრატული გარე ჩარჩო და შუაში ჩახატული წრე აქცენტს გერბისკენ მიმართავს. გერბის აქეთ-იქით, წრის ზედა ნახევრის სივრცეში იკითხება: A.I.M.V. ანუ, Antim.Ivireanu.Mitropolitului.Valachie.

---

[76] M. Dogaru, დასახ. ნაშრომი, 55.

სურ.21. ანთიმოზ ივერიელის გერბი წარწერით.

გერბის ბლაზონირების თავისებური წესი, რომელიც ახასიათებს ანთიმოზის საგამომცემლო სკოლას, გულისხმობს გერბის ემბლემატიკური ენის სიტყვიერი ენით ინტერპრეტირებას. ეს წესი პირველი ქართული წიგნების ბეჭდვისასაც მკვიდრდება ქართულ სასტამბო პრაქტიკაში ბაგრატიონთა გერბის სიმბოლიკის ლექსის ფორმით განმარტებების სახით.

ანთიმოზის გერბსაც ახლავს ძველი რუმინული წარწერა (სურ.21), რომელიც შესრულებულია ძველი სლავური ანბანითა და ქარაგმებით (წარწერა გადმოთარგმნა, ანთიმის მონასტრის ბერების თვალსაზრისის შესახებ ცნობა და ანთიმის მონასტრის კედელზე ამოჩუქურთმებული ლოკოკინის ფოტო მოგვაწოდა თეოლოგმა ალექსი ქშუტაშვილმა), იგი ასე იკითხება რუმინულად:

Toată suflarea, zice prorocul,
Cânte pre Domnul peste tot locul.
Şi melcul, încă, coarne înalță,
Ca să-L lăudăm, pre toți ne-nvață.

მისი ქართული პწკარედია:

ყოველი სული, ამბობს წინასწარმეტყველი,
აქებდით უფალსა, ყოველსა ადგილსა,
და ლოკოკინა, რქებს ამაღლებს,
რომ ვაქებდეთ მას (უფალს), ყველას გვასწავლის.

მაშასადამე, ანთიმოზის ჰერალდიკურ მეტაფორას, როგორც მოსალოდნელი იყო, ქრისტიანული სემანტიკა აქვს და მის ინტერპრეტირებას ბიბლიური წინასწარმეტყველი მეფის, დავითის 150-ე ფსალმუნი უნდა დავუდოთ საფუძვლად. ეს გერბი არ არის ანთიმოზ ივერიელის წინაპრების ისტორიის მატიანე, მასზე არც ანთიმოზის მრავალწახნაგოვანი და მრავალფეროვანი ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდია ასახული. იგი ჰერალდიკური, აზრობრივი, მხატვრული, რელიგიური თვალსაზრისით უაღრესად დახვეწილი „ავტოპორტრეტია", ერთგვარი აღსარებაა, რომელიც სიკვდილ-



სურ.22. ანთიმოზის მონასტერი ბუქარესტში.

ამდე 3 წლით ადრე ანდერძივით დაუტოვა მომავალ თაობას საკუთარი მონასტრის ტიპიკონზე. ანთიმოზის გერბზე გამოსახული ლოკოკინა თავისი საცეცების აწევით უფლისადმი ქების აღვლენის ჩუმი და მოკრძალებული სიმბოლოა.

ბუქარესტის ანთიმოზ ივერიელის მონასტრის (სურ. 22,23) ბერების აზრით, ლოკოკინა ბერის სიმბოლოა, ნიჟარა კი - ბერის სენაკის, კელიის. ბერი თავის სულიერ სიმშვიდესა და განწმედას კელიაში პოულობს („ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰკეტეს კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამაჲ შენი რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად". – მათე, 6.6.). მაშინაც კი, როცა ბერი კელიიდან გარეთ გამოდის, მას თავისი სულიერი სიმშვიდე და თავისი სულიერი სამყარო თან დააქვს. ამავე დროს, ნიჟარა სპირალის ფორმისაა, რაც სულიერი ზრდისა და აღმავლობის სიმბოლოა. როგორც ლოკოკინას თავისი სახლი სულ თან დააქვს და ამის გამო მისი სამშობლო პრაქტიკულად ყველგანაა, წმინდა ანთიმოზ ივერიელისთვისაც, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს შვილი იყო, რუმინეთი მისთვის ღვთის მიერ ბოძებულ მეორე სამშობლოდ იქცა...

* * *

ისე წარიმართა ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება, რომ



სურ.23. ანთიმოზის მონასტრის შესასვლელი.

სურ.24. სნაგოვის მონასტერი

მან მრავალი საცხოვრებელი გამოიცვალა. როგორც ჩანს, საკუთარი სურვილით არც ერთ სახლს არ ტოვებდა. ჯერ იყო და სიჭაბუკეში ფეხშედგმული მოიტაცეს საქართველოდან, მერე კონსტანტინეპოლიდან წაიყვანეს, რუმინეთის მთავრის მოთხოვნით. სნაგოვის მონასტერსაც (სურ.24), რომელშიც სტამბა დააფუძნა, ინტრიგების გამო მოაშორეს. არც რიმნიკის საეპისკოპოსოსთან განშორება ყოფილა მისი სურვილი. მერე უკვე, დიდი საეკლესიო მამა და საზოგადო მოღვაწე, უნგრო-ვლახეთის სამიტროპოლიტო სასახლიდან გამოიყვანეს და დილეგში ჩასვეს, ბოლოს სასულიერო პირისთვის ამქვეყნად ყველაზე საიმედო სახლისკენ - სინას მთის მონასტრისკენ მიმავალი ბერი მოწამებრივად აღესრულა... ყველა სახლი ვალმოხდილმა დატოვა. „იმ შვიდი წლის განმავლობაში, როდესაც იქ ვმუშაკობდი, არც ისე ცოტა გავაკეთე ჩვენი

[77] Ф.Джинджихашвили, დასახ. ნაშრომი, 16.

სავანის წარმატებისათვის... ჩემი დაღვრილი ოფლის წყალობით. ჩემ მაგივრად ჩემი საქმეები ღაღადებენ... მიუხედავად ყველაფრისა, მე იქიდან წამოვედი ღირსებით, თუმცა არავის მადლობა არ გადაუხდია იმ ყველაფრისთვის, რაც გავაკეთე და ვამრავლე ჩვენი სახლის დიდება. მე არარა გამიფუჭებია და, ღმერთი ხედავს, ვალი არ მომყვება",[77] - სწერდა ანთიმოზი რუმინეთის მთავარს სნაგოვის მონასტრიდან წამოსვლისას. მას მუდამ თან სდევდა იმის განცდა, რომ საკუთარ მიწაზე, ე.ი. საკუთარ სახლში არ იმყოფებოდა, იგი ყოველთვის ახსენებდა საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ იგი სხვა ქვეყნიდან იყო მოსული: „მე უცხო ქვეყნიდან მოსული ვარ და მიზანშეუწონელია, რომ მიტროპოლიტი გავხდე",[78] - ეს ერთ-ერთი არგუმენტი იყო, რის გამოც ანთიმოზი უარს ამბობდა მიტროპოლიტის ტახტზე რუმინეთის ეკლესიის მეთაურად კურთხევისას წარმოთქმულ სიტყვაში.

ანთიმოზი განზოგადებული სახეა ქრისტეს მრწამსით გამსჭვალული ყარიბი მწირისა, რომელმაც, სიჭაბუკეში მშობლიურ სახლს მოწყვეტილმა, ქვეყნიდან ქვეყანაში იხეტიალა და ამ მოგზაურობისას ლოკოკინასავით თან ატარებდა საკუთარ სახლს, სახლს რწმენისა, სახლს ქრისტეს ერთგულებისა.

[78] Ф.Джинджихашвили, იქვე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ასათიანი თ. *ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა)*, თბილისი, 2002.
ბარნაველი ს. *საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები*, თბილისი, 1965.
ბაქრაძე ა. *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის* თბილისი, 1978.
ბერიძე ვ. მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი" და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში, *მუზეუმის მოამბე*, X, თბილისი, 1948.
გვინჩიძე ო. *ანთიმ ივერიელი*, თბილისი, 1973.
თაქთაქიშვილი ლ. მიკვლეულია ანთიმოზ ივერიელის ბეჭედი, გაზ. *ქართული წიგნი*, 3, თბილისი, 2001.
იოანეს სახარება.
კვასხვაძე შ. *ვახტანგ VI სტამბის წიგნი*, თბილისი, 1952.
კიევის ნაციონალური ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა განყოფილება, №379.
კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1574.
კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1689.
კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 319, 1733.
კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd 341, Hd 2445.
კონდაკი, თბილისი, 1710.
კურდღელაშვილი მ. *ქართული სტამბის ისტორიიდან*, თბილისი, 1959.
კურთხევაჲ და საყდრად აღყვანებაჲ კათოლიკოს-პატრიარქისაჲ (თბილისი, 1997).
ლეონიძე გ. *ანთიმ ივერიელი*, *დროშა*, 2, თბილისი, 1951.
მათეს სახარება.
მიქა წინასწარმეტყველი.
პარაკლიტონი, თბილისი, 1720.
პირველი კორინთელთა მიმართ.
რუმინეთის აკადემიის ბიბლიოთეკა, № 3342.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VI, თბილისი, 1973.
სამოციქულო, თბილისი, 1709.
საქმე მოციქულთა.

სახრება, 1786 წ. ერეკლესეული გამოცემა.
ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1955.
შანიძე ა. ქართული სტამბის ისტორიისათვის, *ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I* (თბილისი, 1935), 157.
შარაშიძე ქრ. *პირველი სტამბა საქართველოში*, თბილისი, 1955.
წესი, რომელი იქმნების ხელთდასხმასა ზედა ეპისკოპოსის (თბილისი, 1997).
ჯავახიშვილი ივ. *ქართველი ერის ისტორია, I,II*, თბილისი, 1913.
Архиепископ Вениамин, Новая Скрижаль, Москва, 1992.
Гаттерер Х. Начертание гербоведения. Первое издание по теории геральдики, выпущенное на русском языке (1805), www.apress.ru/pages/greif/bib/httrr/.
Дашков С. Императоры Византии, Москва, 1996.
Джинджихашвили Ф. Антимоз Ивериели,ЕТбилиси, 1967.
Комаровский Е. Новые церковные гербы, газ. Церковный вестник.2(231).
Лакиер А. Русская геральдика, Москва, 1990.
Медведев М.Ю. Геральдический шедевр: герб Анфима I, митрополита Валашского, http//sovet.geraldika.ru
Польный православный Богословскій энциклопедическій словаръ, 1912.
Православная энциклопедия, т.1, Москва, 2001.
Роллер М. История Румынии, Москва, 1950, 184.
Тресидер Дж. Словарь символов, Москва, 2001.
Antologia întregului serviciu de peste an, cea mai bogată dintre antologiile cunoscute acum, Snagov, 1697.
Biserica ortodoxa Romina, 8-9, Bucureşti, 1956.
Cazacu, M. Cine l-a ucis pe Antim Ivireanul? *Magazin istoric,* 4 (25), Bucureşti, 1969.
Cernovodeanu D. Stiinta si arta heraldica in Romania, Bucureşti, 1977.
Del Arco F., Heraldica Papal, Madrid, 1993.
Dogaru M. Din Heraldica Romaniei, Bucureşti,1994.
Evangele, Snagov, 1697.
Gross es-Wappen-Bilder-Lexikon, Battenberg, 1992.
Heim B. Heraldry in the catholic church, Buckinghamshire, 1978.
Jones A. A. Illustrated dictionary world religions, Exeter, 1982.
Messia de la Cerda y Pita L. F. Heraldica Espanola , Madrid, 1990.
Picot E. Notice biographique et bibliographique sur l'imprimeur Anthime d'Ivir, metropolitaine de Valachie. in Nouveaux Melanges Orientaux, Paris, 1886.
Vulpe A. Istoria Romanilor, Bucureşti, 2000.
Wade W. C. The Symbolisms of Heraldry or A Treatise on the Meanings and Derivations of Armorial Bearings, London, 1898.

ილუსტრაციები:

III გვერდზე იესო ქრისტე, ევანგელეს ფრონტისპისი, 1697 წ.

სურ.1. ბაგრატიონთა გერბი, „სამოციქულო", 1709 წ. გვ.7
სურ.2. ბაგრატიონთა გერბი, „კონდაკი", 1710 წ. გვ.9
სურ.3. რუმინეთის სამეფო გერბი, 1703 წ. გვ.10
სურ.4. ჩუქურთმის ელემენტი. გვ.12
სურ.5. ანთოლოგია, 1697 წ. სნაგოვი. გვ.13
სურ.6. ევენგელე, 1697 წ. სნაგოვი. გვ.14
სურ.7. ბაგრატიონთა გერბი, სახარება, 1786 წ. გვ.16.
სურ.8. ანთიმოზ ივერიელის გერბი. გარეკანის I გვ.
სურ.9. არგეშის გერბი, ანთიმოზ მიტროპოლიტის მონასტრის წესდების ფრონტისპისი, 1715 წ. ბუქარესტი. გარეკანის III გვ.
სურ.10. მეჰედინცის გერბი, ანთიმოზ მიტროპოლიტის მონასტრის წესდების ფრონტისპისი, 1715 წ. ბუქარესტი. გარეკანის III გვ.
სურ.11. ტელერმანის გერბი, ანთიმოზ მიტროპოლიტის მონასტრის წესდების ფრონტისპისი, 1715 წ. ბუქარესტი. გარეკანის III გვ.
სურ.12. ანთიმოზ ივერიელის ხელმოწერა და ბეჭედი. გვ.24
სურ.13. ქვაში გამოკვეთილი ლოკოკინის გამოსახულება ანთიმოზის მონასტრის შესასვლელში, ბუქარესტი. გვ.25
სურ. 14. ლოკოკინის გამოსახულება, ანთიმოზ მიტროპოლიტის მონასტრის წესდების ფრონტისპისი, 1715 წ. ბუქარესტი. გარეკანის III გვ.
სურ.15. დომენტი კათალიკოსის რვაკუთხა საბეჭდავის ანაბეჭდი. გვ.28
სურ.16. ბესარიონ კათალიკოსის ოვალური საბეჭდავის ანაბეჭდი. გვ.28
სურ.17. ანთიმოზ ივერიელის ფრესკა გოვორის მონასტერში. გვ.31
სურ.18. პეტრე მოგილას გერბი. გვ.34
სურ.19. სვეტიცხოვლის ფრესკა. გვ.38
სურ.20. ანთიმოზი მონასტრის წესდების მინიატურა. გვ.41
სურ.21. ანთიმოზ ივერიელის გერბი წარწერით. გვ.45
სურ.22. ანთიმოზის მონასტერი ბუქარესტში. გვ.47
სურ.23. ანთიმოზის მონასტრის შესასვლელი. გვ.48
სურ.23. სნაგოვის მონასტერი. გვ.49

გარეკანის II გვერდზე წმ. ანთიმოზ ივერიელის ხატი.

ANTHIMOZ IVERIELI'S COAT OF ARMS

(Abstract)

Anthimoz Iverieli (Antim Ivireanul) was the Metropolitan of Romania from 1708 till 1716. The heraldry of Iverieli marks an important interest in his life. His coat of arms is depicted in the "Statutes of Atim Monastery" which dates to 1713.

The coat of arms has a stylized German simple shield which is red, with a snail on it. In the cultures of ancient peoples, a snail used to be the symbol of the moon and fertility. Owing to its spiral shell and its tentacles, which show from time to time, it also symbolizes cyclic processes such as renaissance and resurrection. It also symbolizes Christ's resurrection. A snail on the branches of a tree is a symbol of obstinacy, and perseverance - even if the progress is persued slowly - to the end. A crawling snail stands for carefulness and shrewdness. Aesthetically a snail attracts attention by its exceptional beauty and the harmony of its spiral house. According to W. Cecil Wade's dictionary of heraldic symbols, the shell of a snail symbolizes protection by providence.

The snail on Anthimoz Iverieli's coat of arms is depicted vertically, with its head approaching a six-axis star, and almost touchingit with its tentacles. A star is one of the most ancient symbols of the mankind. It used to embody eternity from the very start. On Anthimoz Iverieli's coat of arms the biblical six-axis star of Bethlehem, the symbol of Messiah, light, the hope and the faith of the mankind is depicted.

Scholars have no doubt that the coat of arms was created by Iverieli himself.

Above the shield there is the Metropolitan's mitre. This kind of mitre can be seen on the coat of arms of Mogila, the Metropolitan of Kiev in1639 and of Nikon, Patriarch of Russia in 1659. This tradition is continued in the church heraldry of modern Romania and Russian. Images of mitre adorn the octagonal stamp of the Cathalokos of Georgia Domenti and the oval stamp of the Cathalikos of Georgia, Bessarion.

On the reverse side of the shield of Anthimoz Iverieli's coat of arms there is a cross and a crozier crossing each other. It is remarkable that exactly the same image is common for the Georgian stamps too (17th-18th cc). The similar cross and double-headed crozier is reflected on the coats of arms of the Metropolitan of Kiev - Peter Mogila, Patriarch of Russia - Nikon, the metropolitans and bishops of Romania.

On top of the crown there is a hat with two lances and two brushes. A similar hat is on the coat of arms of Petre Mogila as well. According to A. Lakier, the famous Russian specialist of heraldry, this hat is Moldavian.

The coat of arms has one more element, a palm-tree crown. It frames the sides and the lower part of the shield, and this decorative element is also given in Anthimoz Iverieli's other works.

At the bottom of the coat of arms there is a motto: "Let every soul praise the Lord, says the prophet, and the snail rises up its horns, thus teaching us all to praise the Lord."

Zurab Gaiparashvili

ANTHIMOZ IVERIELI'S COAT OF ARMS



კომპიუტერული უზრუნველ
კახაბერ მაისურაძე

2005

თსუ
ბიბლიოთეკა
900001812864

სურ. 9.
არგეშის გერბი,
ანთიმოზის მონასტრის
წესდების ფრონტისპისი,
1715 წ. ბუქარესტი.

სურ. 10.
მეჰედინცის გერბი,
ანთიმოზის მონასტრის წესდების
ფრონტისპისი,
1715 წ. ბუქარესტი.

სურ. 11.
ტელერმანის გერბი,
ანთიმოზის მონასტრის
წესდების ფრონტისპისი,
1715 წ. ბუქარესტი.

სურ. 14.
ლოკოკინის გამოსახულება,
ანთიმოზის მონასტრის წესდების ფრონტისპისი,
1715 წ. ბუქარესტი.

ᲡᲐᲚᲑᲘ
ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ
www.salbi.ge